# საერთო გაზეთი

№18 (568) • 1 ივლისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

# უსამშობლობის ტრაგედია

## ვინ მოკლა გიორგი შაქარაშვილი?

გიორგი შაქარაშვილი მოვკალით ჩვენ, ყველამ ერთად და ყველამ ცალ-ცალკე

**მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! ევროპელი არა, კვახი! ქართველი ხარ შენ, ქართველო და ბოლომდე ქართველად უნდა დარჩე, თორემ დაიღუპები...**











## ბესო მიქავა: აქა ამბავი ნოდარიკო მელაძის მელაძეობის, „ბიზნესმენ" ბახიას გაიძვერობის და „ტელევიზიონშიკ" „ჭუტას" ბანდიტობის შესახებ

## რამაზ საყვარელიძე: პოლიტიკა, როგორც თეატრი



## ნიკა ბერიძე: რა მოხდა 2006 წლის მარტში „ციხის ბუნტის" დროს?





## „პოლიტპატიმარი" კრიმინალური სამყაროდან

## ვოვა, რამზანი და ჯულიეტოვნა





# უსამშობლობის ტრაგედია

## ვინ მოკლა გიორგი შაქარაშვილი? გიორგი შაქარაშვილი მოვკალით ჩვენ, ყველამ ერთად და ყველამ ცალ-ცალკე



**ვახტანგ ხარჩილავა:**

ამ წერილს ტრაგიკულად დაღუპული 19 წლის ახალგაზრდის გიორგი შაქარაშვილის ხსოვნას ვუძღვნი.

ერთ კვირაზე მეტია ამ ულამაზესი ჭაბუკის ტრაგიკულ ისტორიას ვუსმენ და ვუყურებ და სინდისის ქენჯნა და დანაშაულის გრძნობა არ მტოვებს.

თითქოსდა მე და ჩემნაირები, რომლებსაც მომხდართან არანაირი პირდაპირი შეხება არ გვქონია, რა შუაში ვართ და თავს რატომ უნდა ვგრძნობდეთ დამნაშავედ, თუმცა თუ კარგად ავწონ-დავწონით იმ მიზეზებს, რომლებმაც ყველანაირი წინაპირობა შექმნეს იმისთვის, რომ ეს საშინელი ამბავი მომხდარიყო, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ჩვენ ყველანი, მთელი საზოგადოება, შუაში კი არა თავში ვართ.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენ, მთელი საზოგადოება, გამოვეკიდეთ ბნელ ღამეში ამ ახალგაზრდა კაცს და სხვა გზა არ დავუტოვეთ — ვაიძულეთ მდინარეში გადავარდნილიყო.

მან კი ცურვა არ იცოდა...

თავისი წესიერების და კეთილშობილური ბუნების გამო მან ცურვა კი არა, ისიც კი არ იცოდა, როგორ გამოსულიყო ამ ექსტრემალური სიტუაციიდან და გაიქცა, მაგრამ ჩვენ ისეთი გამოდევნება ვიცით, ჩვენ ისეთი გამოკიდება ვიცით, აბა, როგორ გაგვექცეოდა?!...

მასთან რომ გავასწორეთ ანგარიში, ახლა სხვებს გამოვენთეთ და 17 ახალგაზრდა დავიჭირეთ, რომ უმკაცრესად დავსაჯოთ და გავასამართლოთ — თითქოს მხოლოდ ისინი არიან დამნაშავეები, ჩვენ კი მართლები ვართ და რადგან მართლები ვართ, უფლებაც გვაქვს განაჩენი გამოვუტანოთ.

არადა, სინამდვილეში, მათთან ერთად ჩვენც დამნაშავეები ვართ, და, სადაც სამართალია, მათთან ერთად ჩვენც უნდა ვისხდეთ განსასჯელის სკამზე, მაგრამ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ — ჩვენ სხვები უნდა განვიკითხოთ, საკუთარ თავს გასაკიცხად როგორ გავიმეტებთ?

●

უამრავ გადაცემას, უამრავ სიუჟეტს ვუყურე, უამრავ ადამიანს ვუსმინე, უამრავი ვერსია გამოითქვა ამ ტრაგედიის გარშემო, მაგრამ არსად, არც ერთი სიტყვა არ თქმულა იმის შესახებ, საიდანაც დაიწყო და რითაც დაიწყო ეს უბედურება.

უბედურება კი დაიწყო მაშინ და დაიწყო იქიდან, როცა ახალგაზრდა გოგონამ, გადაწყვიტა დაბადების დღე აღენიშნა ცალკე, ნაქირავებ აგარაკზე და უფროსებიდან არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც გოგონას ამ გადაწყვეტილებას შეაცვლევინებდა.

არადა, ხომ ცხადი იყო თავიდანვე, რომ გოგონა ამ წვეულებაზე თავის თანატოლებს — 17, 18, 19, 20 წლის ახალგაზრდებს დაპატიჟებდა, რომლებიც ალკოჰოლური სასმელების მიღების შემდეგ, ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, არავინ იცოდა, რას ჩაიდენდნენ და როგორ მოიქცეოდნენ.

ანუ ეს წვეულება თავიდანვე იყო უდიდესი რისკისა და ხიფათის შემცველი მისი თითოეული მონაწილისთვის.

საზოგადოებას ხომ უამრავი დრამატული მაგალითი აქვს იმისა, თუ როგორ მთავრდება ამგვარი წვეულებები თუ პიკნიკები.

შაქარაშვილის ტრაგედია ერთადერთი შემთხვევა ხომ არ არის, რამდენი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ჩვენს თვალწინ ქუჩურ გარჩევებს, ჩვეულებრივ შელაპარაკებას, ერთი შეხედვით ბანალურ კინკლაობას, უწყინარ ფრაზას, რომელიც ვიღაცის ყურს უხეშად მოხვდა.

აი, ეს ყველაფერი ვიცით, ამას ყოველდღიურად და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ და მაინც არხეინად ვაძლევთ უფლებას ჩვენს ოცი წლის შვილს თავის თავშივე ხიფათის შემცველი ისეთი ნაღმი დადოს, რომელიც არავინ იცის, როდის იფეთქებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაღმი აფეთქდა და ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო იუბილარ გოგონას და კიდევ 17 ადამიანს სამუდამო ტკივილი და სინანული დაუტოვა.

არავის ეგონოს, იმ გოგონას რამეში ვადანაშაულებდე, ან ვამტყუნებდე. ის ძალიან ახალგაზრდაა და თავისი ახალგაზრდული ასაკის გამო იმდენ სიბრძნეს და წინდახედულებას ვერ გამოიჩენდა, რომ წინასწარ განეჭვრიტა, რას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა, თუმცა ამაზე მის მშობლებს ხომ უნდა ეფიქრათ?

მოსალოდნელ შედეგზე ხომ უნდა ეფიქრა აგარაკის მეპატრონესაც, რომელმაც ისე უყოყმანოდ მიაქირავა სახლი ახალგაზრდებს, თითქოს ეს ახალგაზრდები გონებადამჯდარი და უკვე ჩამოყალიბებული, ზრდასრული ადამიანები ყოფილიყვნენ, რომლებიც სიტუაციას გააკონტროლებდნენ და ჩხუბსა და აყალმაყალს არ დაუშვებდნენ.




როგორი სამწუხარო ამბავია, რომ უფროსების მიერ გამოჩენილი უპრინციპობის, ზედმეტი გულარხეინობის და გადაჭარბებული ნდობის გამო უფროსებს კი არა ახალგაზრდებს უწევთ პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთის აღება.

იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდებს დავეხმაროთ, შეცდომები არ დაუშვან, ჩვენ ჩვენი გულგრილობით და წინდახედაობით, ამ შეცდომების დაშვებისკენ ვუბიძგებთ მათ.

●

და მაინც, რატომ ვთქვი წერილის დასაწყისში, რომ 18 ივნისს მომხდარ ტრაგედიაში ჩვენ ყველანი, მთელი საზოგადოება, ვართ დამნაშავეები-მეთქი.

მთავარი მიზეზი, რამაც ეს „მკრეხელური“ აზრი მათქმევინა, ის არის, რომ ჩვენ დიდი ხანია ჩვენს შვილებს, ჩვენს ახალგაზრდა თაობებს ქართველებად არ ვზრდით.

არსებობს ქართული სახელმწიფო, არსებობს ქვეყანა, სახელად საქართველო, მაგრამ ეს საქართველო, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეები, ქართველები, ქართულად აღიზარდონ.

არც სახელმწიფო, არც ოჯახი, არც სხვადასხვა სტრუქტურები, არც ბეჭდური თუ ელექტრონული მედია, თითქმის არავინ, ათასში ერთხელ გამონათებული ცალკეული პერსონების გარდა, არ ფიქრობს, არ წუხს, არ ზრუნავს და არ დარდობს იმაზე, რომ თაობები, რომლებმაც ხვალ და ზეგ ქვეყნის ტვირთი უნდა ზიდონ, პირველ ყოვლისა, ქართველები უნდა იყვნენ თავიანთი მორალური კოდექსით, ადათ-წესით, საუკუნეების განმავლობაში დადგენილი ურთიერთობების ნორმებით და ვალდებულებებით.

ქართველებად აღზრდა კი არა ხანდახან მეჩვენება, რომ საერთოდ ქართველად ყოფნაც კი „გვეგოიმება“ და „გვეპაზორება“.

იმ 17 ახალგაზრდიდან, რომლებიც ახლახან დავიჭირეთ და რომელთა უმრავლესობა, ალბათ, ვაჟკაცობაზე, კარგ ბიჭობაზე და შეიძლება, კარგ ქართველობაზეც კი დებს თავს, არ არის გამორიცხული, არც ერთმა არ იცოდეს და არც ერთს არ სმენოდეს, რომ ქართველი კაცი წაქცეულ მეტოქეს ხელს არ დააკარებდა — ეს უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა.

არადა, რამდენჯერ გვინახავს ასეთი შემზარავი „სანახაობა“ — მიწაზე დაგდებულ ერთ კაცს სამი-ოთხი კაცი ურტყამს გამეტებით.

რომ მიხვიდე და უთხრა: რას აკეთებთ, რას შვრებით, ქართველები არ ხართო? შეიძლება შენც




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გაგიგდონ წიხლქვეშ — რას ჰქვია ქართველები არ ვართ, ეს რა გვაკადრე, ეს რა შეურაცხყოფა მოგვაყენეო.

ქართველი კაცი ჩხუბიდან გაქცეულ კაცს არავითარ შემთხვევაში არ გამოეკიდებოდა — რადგან გაიქცა, ესე იგი აღიარა, რომ დამარცხდა, რომ შენ დაჯაბნე და ახლა რატომ უნდა გამოეკიდო, კიდევ რისი დამტკიცება გინდა.

18 ივნისის ტრაგედიის მონაწილე „ვაჟკაცები“ გაქცეულ ბიჭებს გამოენთნენ და არაგვის კალაპოტამდე ჩასდიეს…

და ეს არ არის თქვენი ბრალი: ეს ჩვენ ვერ გაგზარდეთ ქართველებად. ჩვენ არ აგიხსენით, რას ნიშნავს ქართველობა, ქართულმა სახელმწიფომ, ქართულმა სკოლამ არაფერი მოიმოქმედა, რომ ქართველები ყოფილიყავით და თქვენ რა უნდა გექნათ — რაც ქუჩაში ნახეთ, ის ისწავლეთ, რაც კომპიუტერში ნახეთ, ის გადმოიღეთ და ის მოირგეთ.

„გამზრდელი“ წაგიკითხავთ? იქ გამზრდელი მისი გაზრდილის მიერ ჩადენილი არაკაცური საქციელის გამო თავს იკლავს: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ? სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო!“ — ამბობს გამზრდელი.

ვინ მოიკლავს თავს თქვენ მიერ ჩადენილ უღირსი, არაქართული და არაკაცური საქციელის გამო? რომელი მასწავლებელი წავა სკოლიდან და რომელი იტყვის: არ ვვარგებულვარ მე მასწავლებლად და გამზრდელად, რადგან ჩემი შეგირდი ასე და ასე მოიქცაო?!

ახლა ყველანი შეეცდებიან, როგორმე გამოძვრნენ ამ სიტუაციიდან და, პირველ ყოვლისა, ამის გაკეთებას შევეცდებით ჩვენ, საზოგადოება და გამოგვივა კიდევაც, როგორც ეს არაერთხელ გამოგვსვლია.

ოღონდ საკუთარი თავი არ დავადანაშაულოთ, ოღონდ საკუთარ თავზე არ ავიღოთ ეს ცოდვა, ოღონდ ჩვენ მართლები გამოვიდეთ და ჩვიდმეტ დაჭერილ ახალგაზრდას კიდევ ჩვიდმეტს დავამატებთ, გავასამართლებთ, სამაგალითოდ დავსჯით და ვალმოხდილნი კვლავ გავაგრძელებთ სირაქლემას პოზაში ჩვენს უბადრუკ არსებობას.

ხვალ და ზეგ კი ისევ ის გაგრძელდება, რაც დღეს ხდება — ისევ გამოეკიდებიან ვიღაც-ვიღაცები ერთმანეთს, რომ ერთმანეთს ანგარიში გაუსწორონ, ისევ გაუყრიან ერთმანეთს დანებს, ისევ შედგებიან წიხლებით სამნი თუ ოთხნი ერთ წაქცეულს და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენ, საზოგადოება, არ ვაღიარებთ, რომ დანაშაულთა ამ უწყვეტი ციკლის ავტორები და შემოქმედები ჩვენ ვართ.

ჩვენ ვართ ჩვენი შვილების მკვლელები, სინამდვილეში ისინი ჩვენი მსხვერპლნი არიან, ჩვენს უზნეობას, ჩვენს ამორალობას, ჩვენს კონფორმიზმს ზვარაკივით რომ შევწირეთ.

●

არსებობს კონსტიტუცია, რომელსაც ადამიანთა ჯგუფები წერენ და ქვეყნის მთავარ იურიდიულ დოკუმენტად აცხადებენ, თუმცა ამ დოკუმენტში დროის და გარემოებების მიხედვით ხშირად შედის ცვლილებები და შესწორებები.

ეს ერთი კონსტიტუციაა, ქაღალდზე დაბეჭდილი, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოწონებული და დასტურმიცემული, მაგრამ არსებობს მეორე კონსტიტუცია, მთავარი კონსტიტუცია, რომელსაც ბეჭდური სახე არ აქვს და არც საპარლამენტო სხდომებზე ქცეულა განხილვის საგნად.

ეს არის ერის მიერ თავისი არსებობის მანძილზე, თავისი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შექმნილი მარადიული „დოკუმენტი“, რომელიც რევიზიას და კორექტივებს არ ექვემდებარება.

ეს არის ყველა თაობის და ყველა დროისთვის სავალდებულო ეროვნული შეთანხმება — თუ როგორ და რა წესით უნდა იცხოვროს ერმა, რა წესებს უნდა ემორჩილებოდეს, რა პასუხისმგებლობა და რა ვალდებულებები აქვს ადამიანს და ა.შ. და ა.შ.

ფაქტობრივად, ეს მეორე კონსტიტუცია, ზეპირსიტყვიერად შემონახული და თაობებიდან თაობებს გადაცემული, ერის სულსა და გონებაში სამარადისოდ ჩაბეჭდილი და ჩაკირული, არის ის ქვაკუთხედი, ის ფუნდამენტი, რაზეც დგას ერის იდენტობა.

როცა ეს კონსტიტუცია ინგრევა, ინგრევა ერის ფსიქიკა, ინგრევა მის იდენტობა, და გენეტიკური კოდი.

ნაციონალები, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ, პირველი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ ამ კონსტიტუციას დაარტყეს და მისი მორღვევა და გაცამტვერება სცადეს.

გახსოვთ, ალბათ, როგორ მიუთითებდა პრეზიდენტი სააკაშვილი ე.წ. „პატრიოტულ ბანაკებში“ მყოფ პატარა ქართველ გოგო-ბიჭებს, მთლად ბავშვებს, ბუჩქებისკენ?

ისიც ხომ გახსოვთ, როგორ გამოკეტეს მის დროს მხცოვანი მეცნიერები, თსუ-ს უნივერსიტეტის I კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიაში, როგორ გამოაცხადეს მათთან ერთად ჩარეცხილებად მრავალი თაობის აღმზრდელი ათასობით ღვაწლმოსილი ადამიანი და მართლაც ჩარეცხეს სიღატაკეში, სასოწარკვეთაში, უსასოობაში.

ისიც გემახსოვრებათ, ბავშვთა უფლებების დაცვის მოტივით, რას ასწავლიდნენ და რას შთააგონებდნენ მოზარდებს: თუ შენ ავტობუსში ზიხარ და ამ დროს მოხუცი ამოდის, არ ადგე და სკამი არ დაუთმო — ეს შენი ადგილია!

თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ, სინამდვილეში, უმნიშვნელო კი არა ისეთი დეტალია, რომელიც თავიდან ბოლომდე ანგრევს თაობათა შორის ურთიერთობის ისტორიულად დადგენილ ნორმებს, რაზეც იდგა ის ეროვნული კონსტიტუცია, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით.

შევარდნაძის დროს დაიწყო და სააკაშვილის დროს წარმატებით გაგრძელდა გარედან შემოტანილი, გარედან ნაკარნახევი ნეოლიბერალური ღირებულებების დანერგვა ახალგაზრდა თაობების ცნობიერებაში.

სააკაშვილი რაღაცით ჰგავდა პოლ-პოტას, რომელმაც 12 წლის ბავშვებს ავტომატები დაურიგა და ადამიანების დახოცვის უფლება მისცა.

სააკაშვილს, მართალია, ავტომატები არ მიუცია მოზარდებისთვის, მაგრამ ავტომატზე უფრო საშინელი იარაღით შეაიარაღა — ის იყო აგრესიული, ზიზღნარევი, სიძურვილით და გაუცხოებით გაჟღენთილი დამოკიდებულება უფროსი თაობებისადმი, ყოველივე იმისადმი, რაც მათ გაუკეთებიათ და შეუქმნიათ.




მას არც დაუმალავს, რომ ახალი ქართველის შექმნა სურდა და „შექმნა“ კიდევაც. ეს „ახალი“ ქართველებია ნარკოტიკებით გაბრუებულები და გამოთაყვანებულები, ერთმანეთს რომ დასდევენ დასახოცად და არაფრის და არავის მიმართ იოტისოდენა რიდი და პატივისცემა არ აქვთ.

სააკაშვილი და მისი უცხოელი კნეინა ევროპული აუდიტორიების წინაშე ღიად და დაუფარავად დაგვცინოდნენ — ქართველები ერთი „კეპკიანი“, ველური და გაუნათლებელი ხალხია, რომელსაც მკაცრი ხელი ჭირდება, სხვანაირად ვერ დაიმორჩილებ და ვერაფერს შეაგნებინებო.

სწორედ ამით ამართლებდნენ „ნაციონალები“ იმ რეპრესიულ მეთოდებს, რითაც ისინი ქართველებს ცხრა წლის განმავლობაში უსწორდებოდნენ!

მხოლოდ სააკაშვილს და მის ბანდას ნუ დავაბრალებთ იმას, რაც ქვეყანაში 2004–2012 წლებში ხდებოდა — ზოგი რამ საკუთარ თავსაც დავაბრალოთ.

ქვეყანა, რომელსაც შეუძლია 9 წლის მანძილზე პრეზიდენტად იგუოს ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიც სააკაშვილი იყო, სერიოზული მენტალური და ფსიქიკური პრობლემები აქვს.

●

— შვილი დედამ უნდა გაზარდოსო, — ბრძანა ბიძინა ივანიშვილმა და ვიღაც-ვიღაცებმა ირონიულად ჩაიქირქილეს: — აბა, ეს რა სათქმელი იყო, ეს ხომ ისედაც ყველამ ვიცოდითო.

— შვილი დედამ უნდა გაზარდოს… დედას კი შარვალი კი არა, კაბა უნდა ეცვას, რომ შვილმა დედის კაბის კალთისთვის ხელის ჩავლება შესძლოს და მის გვერდით იაროსო, — ეს უკვე შტაინერმა თქვა.

ამ მცირე მოცულობის საგაზეთო წერილში, ცხადია, შეუძლებელია გაშიფრო და გაანალიზო თუ რა უზარმაზარი ფილოსოფიური დატვირთვის კონცეფცია დევს ამ ერთი შეხედვით უბრალო და მარტივად გასაგებ ფრაზაში — შვილი დედამ უნდა გაზარდოს!

რა თქმა უნდა, ყველაზე არ ითქმის ეს, მაგრამ ჩვენი უმცროსი თაობის ერთი ნაწილი დედის გაზრდილს არ ჰგავს.

არც იმის ეტყობა რაიმე, რომ სკოლაში დადის, ვიღაცა რაღაცას ასწავლის, ვიღაც წვრთნის და დიდ ცხოვრებაში შესასვლელად ამზადებს.

ამ ორიოდე წლის წინათ გოგონების ჩხუბს შევესწარი ვერის ბაღში.

გოგონები, 13–14 წლისანი, ჩხუბობდნენ და მათი თანატოლი ბიჭები აშველებდნენ.

ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ მე ეგეთი გინება, ეს პატარა გოგონები რომ იგინებოდნენ, კაცებისგანაც კი არ მომისმენია.

— მე ვიყო მამაჩემის ბოზი, თუ შენს შაკოსთან მიჟიმავიაო, — უმტკიცებდა ერთი მეორეს და მისკენ საცემრად მიიწევდა.

— მამაჩემი იყოს ჩემი მტყ… მე თუ რამეს ვიგონებო — უკან არ იხევდა მეორე და ისიც საცემრად მიიწევდა დაქალისკენ.

არადა, ისეთი ლამაზები იყვნენ, ისეთი კარგები და საყვარლები…

ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე არ გვაქვს გაცნობიერებული, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზე, ჩვენი შვილების თავზე, მთელი საქართველოს თავზე.

ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენ შვილებს, ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ისინი — მათ თავიანთი ავტონომია შექმნეს, ფარდა ჩამოგვიკიდეს და კატეგორიულად გაგვაფრთხილეს: არ გაბედოთ ამ ფარდის გადაწევა და ჩვენს „სახელმწიფოში“ შემოხედვა — თქვენი საქმე არ არის, აქ რა ხდებაო.

არადა, ცუდი ამბები ხდება ამ ფარდის მიღმა, ძალიან ცუდი ამბები ხდება…

კიდევ რამდენი ახალგაზრდა უნდა დაიღუპოს, რომ გამოვფხიზლდეთ და განგაშის ზარები დავარისხოთ?

●

ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მიმტანად მუშაობს ერთ დიდ რესტორანში, ასეთი ამბავი მიამბო.

— სვანებმა ჩვენს რესტორანს ხუთასკაციანი ქორწილის სუფრა შეუკვეთეს. რესტორნის დირექცია დაფრთხა — ხუთას სვანს ჩვენი ექვსკაციანი დაცვა რას გაუძლებსო და დაცვას კიდევ ექვსი კაცი დაამატეს, თუმცა ესეც ეცოტავათ და მეზობლად მდებარე პოლიციის განყოფილება გააფრთხილეს — ასეა და ასეა საქმე და რამე რომ იყოს, მოგვეშველეთო.

მოვიდნენ სტუმრები. გადაიჭედა დარბაზი ხუთასი სვანით. დაიწყო ქეიფი, რომელიც თითქმის ექვს საათს გაგრძელდა.

ბევრი იცეკვეს, ბევრი იმღერეს, ბევრი ღვინოც დაილია, მაგრამ სუფრა ისე დამთავრდა, ერთი ხმამაღალი სიტყვა, ერთი უხერხული ფრაზა არ თქმულა.

გამიკვირდა და ერთ სტუმარს ვუთხარი: — სულ შემეცვალა წარმოდგენა სვანებზე. თქვენ რა წყნარები და თავაზიანები ყოფილხართ-მეთქი.

სტუმარმა სუფრის თავისკენ გამახედა — ხედავ, იქ ასაკოვანი კაცი რომ ზის? ის ჩვენი გვარის უხუცესია… მისი თანდასწრებით ვინ გაბედავს ზედმეტი სიტყვა თქვას?

აი, ასეთები ვართ ჩვენ, ქართველები, აი, ასეთია საქართველო.

… ამ ამბავს რომ მიყვებოდა, ამ ახალგაზრდა კაცს თვალები უბრწყინავდა — მან მისთვის უცნობი საქართველო აღმოაჩინა, მისთვის და მისი თაობისთვის უცნობი საქართველო, დიდებული, დიდი და დიადი სამშობლო იპოვა და სიამაყის გრძნობა დაეუფლა, რომ ამ ქვეყნის შვილი იყო.

ერთმა პოლიტიკოსმა ასეთი ფრთიანი ფრაზა თქვა: მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!

ევროპელი არა, კვახი!

ქართველი ხარ შენ, ქართველი და ბოლომდე ქართველად უნდა დარჩე, თორემ დაიღუპები…

დავიბრუნოთ ჩვენი საქართველო, დავიბრუნოთ ჩვენი შვილები, ეშმაკი და სატანა რომ ექაჩება თავისკენ.

ტელ: 593 44-04-01

**P. S ბოდიში უნდა მოვიხადო, თუ ცოტა მკვახედ და მკაცრად ვილაპარაკე, თუ ვინმეს გული ვატკინე.**

**დაბოლოს, „ასავალ-დასავალის“ ბოლო ნომერში ნიჭიერი პუბლიცისტის ჯაბა ხუბუას წერილი „ნუ მოკლავ შაქარას!!!“ გამოქვეყნდა.**

**აუცილებლად წაიკითხეთ ეს ბრწყინვალე წერილი — მასში ბევრი ისეთი რამ არის ნათქვამი, რაც მე გამომრჩა და, საერთოდ, მოდით, ყველამ ერთად ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ იმ დრამატულ თემაზე, რომელსაც ჩვენი შვილების და ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი ჰქვია.**

# პოლიტიკა, როგორც თეატრი



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი*
*რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, პოლიტიკა, გარკვეულწილად, თეატრს ჰგავს — თუ რეჟისორი ნიჭიერია, სპექტაკლიც საინტერესო გამოსდის, თუ არა — პირიქით. დღეს რა წარმოდგენები იმართება პოლიტიკურ ავანსცენაზე და როგორი თეატრალური დასი გვყავს?**

— გეთანხმებით, პოლიტიკა, ხშირად, ჰგავს თეატრს. მსგავსებაზე იმ მხრივაც შეიძლება საუბარი, რომ სწორედ პოლიტიკის წიაღშია გაჩხერილი ე.წ. პიარი — საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტ. ექნოლოგიები, რაც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა დაიდგას პოლიტიკური სპექტაკლი. დიახ, პოლიტიკა თეატრალურ მომენტებს შეიცავს და ეს მხოლოდ ახლა არ დაწყებულა. მკრეხელობად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ერეკლე მეორე ექვსი მეზარბაზნით რომ იბრძოდა, თუმცა მტრის შესაშინებლად ბევრად მეტი ზარბაზნები გამოეფინა, ეს თეატრი არ იყო?! ამდენად, პოლიტიკა ამ ტიპის წარმოდგენებს კარგად იტანს. ხშირ შემთხვევაში ეს აუცილებელიც კი არის. რაც შეეხება დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას, ოპოზიციის მხრიდან მოკლებული როდი ვართ სპექტაკლებს, ასევე, პერფორმანსებსაც კი აკეთებენ. ანუ, თეატრალიზება შემოდის როგორც ბრძოლის ერთ-ერთი პოლიტიკური ხერხი. ეს ევროპელებისგან, ამერიკელებისგან გვაქვს ხომ ნასწავლი. იქ, პერფორმანსები ხშირად კეთდება. მერე, უკვე, ზღვარი ძნელი გასავლებია — სად არის პერფორმანსი და სად ისეთი თეატრი, რომელსაც პოლიტიკა ჰქვია, მაგრამ ისეთივე კანონები აქვს როგორც თეატრალურ წარმოდგენას. რაც შეეხება რეჟისორებს, კი, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ თეატრს რეჟისორები ჰყავს. პოლიტიკური თეატრი საკმაოდ სერიოზულ რეჟისურას მოითხოვს. იმდენად სერიოზულსაც კი რომ ვერც კი იტყვი: რომელს უფრო დიდი სარეჟისორო ნიჭი სჭირდება — პოლიტიკაში სპექტაკლის დადგმას თუ სცენაზე. ამას ასე მარტივად ვერ იტყვი შემდეგი მიზეზის გამო: თეატრში სპექტაკლი, პრაქტიკულად, მხოლოდ ესთეტიკური მოვლენაა, ხოლო პოლიტიკაში დადგმული წარმოდგენა ადამიანებს გამორიცხული არ არის სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეთ. ამიტომაც პოლიტიკურ სპექტაკლებს ამ სახელს ასე მარტივად ვერ უწოდებ, რადგან ეს არის ბრძოლა თავისი სისხლიანი, ძალისმიერი ნაწილით. სწორედ ამით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი სპექტაკლისგან. სპექტაკლში ადამიანი რომ კვდება, მერე წამოდგება და თავს დაუკრავს მაყურებელს, ხოლო პოლიტიკურ სპექტაკლში როცა ადამიანი კვდება, ის ვეღარ წამოდგება. ამიტომ არის-ხოლმე სახამუშო სპექტაკლის მეტაფორის პოლიტიკაში გადატანა. დიახ, სწორედ იმიტომ, რომ აქ, თამაშის წესები სრულიად განსხვავებულია და ეს შეიძლება ძალზედ ძვირი დაგიჯდეს. მაგალითად, ერთ-ერთ პოლიტიკურ სპექტაკლად შეიძლება შეფასდეს 2008 წლის ომი, რომელიც გათამაშდა. არის ასეთი ვერსიები რომ რუსებს ეს ომი სჭირდებოდათ შემდეგი მიზეზის გამო: პუტინი დასავლეთს შეპირდა თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებთ, მე აფხაზეთისას ვაღიარებო. მას თავისი დანაპირების შესრულება სურდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სიტყვა ფასს კარგავდა. გარდა ამისა ვარაუდობენ, რომ ამ ყველაფერში ამერიკის ინტერესიც იყო, რომელიც საარჩევნო მარათონში იყო ჩაბმული. „რესპუბლიკელებს“ მაკ კეინის გამარჯვება სჭირდებოდათ. ახლა, ეს თემა ისევ ამოტივტივდა. დავუშვათ, 2008 წლის ომი სპექტაკლი იყო, მაგრამ ამ ფასად ქვეყანამ ხომ უმძიმესი დარტყმა მიიღო ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის მხრივაც და იმ შედეგებითაც, რაც ამ ომს მოჰყვა. ამდენად, ამ შედეგების გამო ღირს კი მას სპექტაკლი ვუწოდოთ?! შეიძლება რეალური მიზეზები სულ სხვა იყოს, ხოლო პოლიტიკოსებმა ეს არ გაამხილონ და სულ სხვა დრამატურგია წარმოგვიდგინონ ვიდრე ის, რაც ამ მოვლენების უკან დგას. ამ მოვლენების უკან კი შეიძლება რეალური მოტივები იყოს და ამ დროს პოლიტიკოსებმა ლეგენდები შექმნან და დრამატურგია წარმოადგინონ. პოლიტიკური სპექტაკლების მთელი კალეიდოსკოპი გახლდათ ჰიტლერის გერმანია, რომელიც უამრავ პოლიტიკურ სპექტაკლს დგამდა, ოღონდ, ეს იმ ადამიანთა ცხოვრებაში უმძიმესი შედეგის მომტანი იყო. ეს დრამატულობა პოლიტიკას მოსდევს. ამიტომ, შეიძლება თუ არა მათ მშვენიერი, მომხიბვლელი სახელი — სპექტაკლი ვუწოდოთ, რომლის დრამატულობა კათარზისს იწვევს, არ ვიცი. თუმცა, გამორიცხული არ არის კათარზისი პოლიტიკურ დრამებშიდაც მონაწილეობდეს. ჩვენ, გერმანია ვახსენეთ და მას ჰქონდა ასეთი კათარზისული მომენტი, ოღონდ, მას შემდეგ რაც დამარცხდა. პოლიტიკაში მარცხის მერე, გარკვეული, გამოფხიზლება ხდება. მაგრამ აქვე, გამორიცხული არ არის მივიღოთ მედლის მეორე მხარე — ეს გახლავთ პოლიტიკაში კომედიური ჟანრის სპექტაკლი. მაგალითად, ბევრჯერ თქმულა: ერთ შემთხვევაში რაც ტრაგედიაა, შეიძლება მეორე შემთხვევაში ფარსად განმეორდეს. კომედიურ ჟანრს სპექტაკლსაც ადვილად დაარქმევ და ამ ტერმინის გამოყენებისას გულიც არ გეტკინება. ასეთი მაგალითები ბევრია. კერძოდ, თუნდაც, დღევანდელი ჩვენი ოპოზიციის ნათელაშვილის ფანჩატურში გაერთანება, აშკარად, კომიკურად გამოიყურება, ოღონდ, ამას თვითონ ვერ ან არ ხვდებიან.

პოლიტიკოსისათვის მსახიობური ნიჭი აუცილებელია. მრავალი ტომი შეიძლება დაიწეროს იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორად არის ამა თუ იმ როლის შემსრულებელი შერჩეული. ბევრი ანალიტიკოსი, ხშირად, პოლიტიკოსს სწორედ ამ ნიშნით აკრიტიკებს — კარგი პოლიტიკოსი იყო და გარემოცვამ დაღუპაო. სწორედ გარემოცვაა ის თეატრალური დასი, რომელსაც პოლიტიკოსი ამა თუ იმ სპექტაკლის გათამაშებაში ჩააბამს. ეს ძნელი საქმეა — ზოგჯერ შეუძლიათ ასეთი დასის შეკრება, ზოგჯერ — არა.

**— სახელმწიფოს ყოფილი მეთაურების შევარდნაძისა და სააკაშვილის სამსახიობო ნიჭს როგორ შეაფასებთ?**

— ედუარდ შევარდნაძე იმდენად კარგად თამაშობდა, მსახიობობას ვერც კი შეატყობდით. სააკაშვილის მსახიობობა კი, ხშირად, გროტესკში გადადის. ეს ფრაზა მოარული გახდა: სააკაშვილი ხომ ნორმალური არ არისო. ამ დროს, საკმაოდ ნორმალური და რაციონალური გონების ტიპია. ეგზალტირებული სტილი უფრო მაყურებლისთვის აქვს შექმნილი. შევარდნაძეს რაც შეეხება, იგი ცდილობდა თავშეკავებული ყოფილიყო, არ გამოევლინა ზედმეტად ღელვა, თუმცა, ემოციები მისთვის უცხო არ იყო.





**— ბიძინა ივანიშვილზე რას იტყვით?**

— ის არტისტულიც არის, მაგრამ ორატორობის მხრივ უფრო ნიჭიერია. ორატორული ელემენტები უდაოდ აქვს, სხვა თუ არაფერი მისი ინტერვიუები, ყოველთვის, ძალიან საინტერესო წასაკითხია და, რაღაც თვალსაზრისით, საყურადღებოც.

**— მოდით, კონკრეტულად განვიხილოთ ამჟამად რა თეატრს ვუყურებთ. ბოლო პერიოდია ერთიდაიგივე სპექტაკლი გადის — იწყება დიდი ხმაურით და ფინალი იგივეა — „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“. როდემდე შეიძლება ამ სპექტაკლს ვუყუროთ?**

— იქამდე სანამ ქვეყანა არ შეძლებს ახალი პოლიტიკური ძალები წარმოშვას. ვიღაც ხომ უნდა იყოს პოლიტიკაში. რადგან ახალი არავინ არის, ერთიდაიგივე სახეების ყურება გვიწევს. თან ხალხი ერთსაც საყვედურობს და მეორესაც მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ ხმას ისევ ამ ორ პარტიას აძლევენ. შე დალოცვილო, თუ მათ აძლევ ხმას, ბუნებრივია, პოლიტიკაშიც მათი ხილვა მოგიწევს. ეს დამოკიდებულია იმაზე თავად ჩვენ როგორ სპექტაკლებს ვაკეთებთ, ხომ. მოქმედ გმირებად თავად ვირჩევთ „ქართულ ოცნებას“ და „ნაცმოძრაობას“. ვის პიესაშია ეს მოქმედი გმირები გაწერილი? მოსკოვმა გამოუშვა ეს პარტიები? ამიტომ, ამ დამოკიდებულებაზე თუ როდემდე ვიყოთ ასეო, შემდეგნაირად გიპასუხებთ: ასე ვიქნებით მანამ, სანამ თავად ჩვენ არ მოვახერხებთ ახალი ნაბიჯების გადადგმას. პატარა ბავშვი ორ ნაბიჯს გადადგამს დაეცემა, ისევ გადადგამს, კიდევ დაეცემა. იგი, ამ დაცემის გამო არც კი ტირის-ხოლმე, წამოდგება და გზას აგრძელებს. უფროსი რომ ორჯერ ზედიზედ დაეცეს, ტრაგედიაში ჩავარდება. სულ რომ არაფერი ეტკინოს, იტყვის: ეს რა დამემართაო. ბავშვს არ აქვს ეს მომენტი იმიტომ, რომ იცის: ეს დაცემა მისთვის ბუნებრივია. იგი ხვდება, რომ სიარული არ იცის და ამიტომ ეცემა. ჩვენ, რით ვერ მივხვდით რომ ჯერჯერობით სიარული არ ვიცით. ბავშვის მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ იგი თუ ეცემა ეს არ ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება ხოხვით ივლის. არა, ისწავლის და მერე მყარად წამოდგება ფეხზე. იმედია, ჩვენც ვისწავლით და მყარად დავდგებით ფეხზე. რამდენი დრო გავიდა რაც დამოუკიდებლები ვართ, 30 წელი, ხომ. სხვა ქვეყნებთან ვისაც ჩვენ ვბაძავთ რამდენი დროა გასული?! — 400–500 წელი ხომ. და ვისაც არ ვბაძავთ — პოსტ. საბჭოთა ქვეყნებს, უმეტესობა იგივე მდგომარეობაშია, რაშიც ჩვენ ვართ. პოლიტიკური პარტიები არც იქ არ არის. იმიტომ, რომ პოსტ.საბჭოთა სივრცეში პარტიული პოლიტიკის კეთება არ იციან. ამას დრო, დაღვინება სჭირდება. ამ პერიოდში ევროპამ რევოლუციები და ომები გამოიარა. იგივე, ამერიკამაც. მან ისეთ დრამატულ პროცესებში დააგროვა გამოცდილება, რასაც ჩვენ, მხოლოდ, ძალიან მცირედით შევეხე თ. სამოქალაქო ომი ჩვენც გვქონდა, ოღონდ მცირე ხნით. ასევე, კონფლიქტი აფხაზეთთან და ოსეთთან და ა.შ. ესეც, მოგეხსენებათ ჩვენი დამსახურება არ იყო. ამდენად, მე არ დავიჩივლებდი როდემდე უნდა ვუყუროთ ამ სპექტაკლს-თქო — იქამდე, სანამ არ აღმოგვაჩნდება უნარი, რომ სახალხო პოლიტიკური პარტია გავაჩინოთ. უნდა დაინახო რაღაც პროცესი, ამან ჩიხი შეგიქმნას, ურემი გადაბრუნდება და გზა მერე გამოჩნდება. ქვეყანაც ასე შენდება — ერთხელ გადაბრუნდა, მივხვდით რაღაცას, კიდე გადაბრუნდება, სხვა რამეს მივხვდებით და ა.შ. ამიტომაა წლები და დრო საჭირო.

**— 8 მარტის შეთანხმების აფსურდის თეატრზეც მინდა გკითხოთ. სპექტაკლის რამდენიმე მოქმედება უკვე გავიარეთ, ახლა სცენაზე რურუას შემოყვანას ითხოვენ. ქაჯეთის ციხიდან რურუას გამოსახსნელად მოწინავე დემოკრატიული ქვეყნები დაირაზმნენ. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?**

— იცით რა, წესით თქვენს კითხვაზე — რასთან გვაქვს საქმე, პასუხი დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდა საქართველოს სპეც.სამსახურებს. გამორიცხული არ არის, რომ ბევრი რამ არ ვიცით. გიორგი ხაინდრავას დღემდე მიაჩნია, რომ საქმე

6 გვ. →

# რა მოხდა 2006 წლის მარტში „ციხის ბუნტის“ დროს?



***ვაგრძელებთ საუბრების ციკლს კუდის ყოფილ თანამშრომელთან ნიკა ბერიძესთან***

**ნიკა ბერიძე:** ორთაჭალის ციხის ე.წ. ბუნტი (2006 წლის მარტის მიწურულს) ბაჩო ახალაიამ, სააკაშვილმა, ბოკერიამ, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა მოაწყვეს, უშუალო შემსრულებლები ბოკერია, ახალაია და მისი მოადგილეები იყვნენ. საპყრობილის კარი რომ გამოიღეს და შევიდნენ სპეცრაზმელები, სართულებზე მოსიარულე პატიმრებს სროლა დაუწყეს მანათობელი ტყვიებით, რვა კაცი დამიზნებით ესროდა. საერთოდ, სულ ცოტა 150 ავტომატიანი იდგა ქვემოთ, მინიმუმ 25–30 წუთი გაუჩერებლად ესროდნენ შავფორმიანები, „შავნაბადის“ სპეცდანიშნულების რაზმი, სოდ-ის თანამშრომლები, ახალაიას „რაზმი“, აბსოლუტურად ყველა ისროდა. 3.000 ცალი ტყვიის მასრა მაინც ეყარა, დერეფნებში სისხლის გუბეები იდგა. ნახევარსაათიანი სროლა რომ გაჩერდა, 90 კაცი ცეცხლსასროლი იარაღით იყო დაჭრილი, ამას გარდა, კიდევ ათი კაცი დაინვალიდდა, პირდაპირ ხერხემალში იყვნენ გადამტვრეული, დანარჩენებს ზოგს ნეკნები ჰქონდა ჩალეწილი, ზოგს ხელი თუ ფეხი ჰქონდა მოტეხილი. ვინც ასე ვთქვათ, მსუბუქად იყო დაშავებული, ნეკნები ჰქონდა ჩატეხილი, არადა ეს ძალზე მტკივნეულია, მათზე ბაჩო ახალაია ამბობდა, უკან ააბრუნეთო. არავითარი ტკივილგამაყუჩებელი, ერთ აბსაც კი არ აძლევდნენ დამტვრეულ-დალეწილ პატიმრებს. ახალაია მათ ეკითხებოდა, აბა სად გტკივაო, ერთმა რომ აჩვენა, ამ სადისტმა პირდაპირ მტკივან ადგილზე ჩაარტყა ავტომატის კონდახი. მერწმუნეთ, ერთ სიტყვას არ ვამატებ, ეს ყველაფერი ჩემი თვალით მაქვს ნანახი. გამოიტანეს რომელ საკანშიც იყო ტელევიზორი, არადა მაშინ სულ ორ არხს აჩვენებდა და ისიც ნაცების იყო, ტელევიზორები ხომ დაცხრილეს და ყველა საკანში, სადაც უშუალოდ იყო ვითომდა ბუნტის მცირე ნიშნები, ისეთი საშინელება დაატრიალეს, ვერ აღგიწერთ. შენობაში პირველი „შავნაბადის“ სპედანიშნულების დანაყოფი შევიდა, ამათ შეანგრიეს და გაწმინდეს ჩახერგილი შესასვლელი, მერე შევიდა იუსტიციის სამინისტროს, ანუ ბაჩო ახალაიას სპეცრაზმი, კუდ-ის და სოდ-ის თანამშრომლებიც შევედი თ. დერეფანში ჩადგნენ ხელკეტებითა და ავტომატებით აღჭურვილი სპეცრაზმელები, პატიმრებს წრეზე ატარებდნენ და სასტიკად სცემდნენ, ვინც რიგიდან გამოვიდოდა, ან ძირს დაეცემოდა, იმას ხომ დედა აღარ ყავდა. ათი კაცი ხომ დააინვალიდეს, მაგრამ შვიდ კაცს რომ აცხადებენ გარდაცვლილად, ეს ციფრი უნდა გაასამმაგოთ, რეალურად ამდენია თუ მეტი არა დახოცილები. ბაჩო ახალაიამ ხელქვეითებს დაავალა საცოდავი პატიმრებისთვის აეტანინებინათ საპყრობილის ძალზე მძიმე რკინის კარები, რომლებიც ისედაც ძლივს დადიოდნენ. №5 საპყრობილეში (საგამოძიებო იზოლატორი) ისეთი პირობები იყო, როგორი ჯანმრთელიც არ უნდა ყოფილიყო იქ მოხვედრილი ადამიანი, აუცილებლად დაავადმყოფდებოდა. 25-კაციან საკანში 80, 100, 150 კაციც კი იჯდა, საკანშივე იყო ფაქტობრივად ღია ერთი ციდა საპირფარეშო და პატიმრები წყალს იქვე მდებარე პატარა ონკანიდან სვამდნენ. ლეიბების მაგივრად დახეული ტანსაცმელი ჰქონდათ დაფენილი რკინის ე.წ. საწოლზე, რიგი იყო, საჭმელზე, საპირფარეშოზე, დაძინებაზე ხომ საერთოდ. ბიჭებს ვიცნობ, რომლებსაც სანამ მიუსჯიდნენ, 6–7 თვის განმავლობაში დღე-ღამეში მხოლოდ საათნახევარი თუ ეძინათ, ისიც საწოლზე ჩამოკიდებულებს. ვითომდა ეს საშინელება არ კმაროდა, ამ ნაძირალებმა ზაფხულში გისოსებიან ფანჯრებზე დამატებით ლითონის ფურცლებიც ჩამოაფარეს, მზე რომ მიადგებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ რა სულის ხუთვა იქნებოდა საკნებში. აბანოს რაც შეეხება, ყველაზე კარგ ვარიანტში ათ დღეში ერთხელ თუ გაყავდათ პატიმრები. მსგავსი საშინელება წარმოუდგენელია, ისეთი საშინელი სუნი იდგა მთელს შენობაში, რომ „ოპერაციის“ შემდეგ ბაზაზე რომ დავბრუნდით, „ბატინკები“ და ტანსაცმელი გადავყარეთ, ყარდა. ამ საშინელ პირობებში მყოფ და დამატებით სასტიკად ნაცემ პატიმრებს უნდა ეთრიათ თურმე უმძიმესი კარი. რაში გვჭირდებოდა ამათი „დახმარება“, მოდიოდა 5–6 პატიმარი, ვერ იკავებდნენ ამხელა სიმძიმეს, ფეხებზე ეცემოდათ და ეგრევე ძირს ვარდებოდნენ, დაცემულებს კი ეს ნაძირალები წიხლებს ურტყამდნენ. ყველა დერეფანი, კიბე, კარი, საკნები, პატიმრების საწოლები, საპირფარეშოები, სასადილო მაგიდა (იმასაც თუ მაგიდა ერქვა), სულ სისხლით იყო მოთხვრილი. ამ ყველაფრის ორგანიზატორები იყვნენ ბაჩო ახალაია და ბოკერია, მონაწილეები მეგის ქარდავა, „მასტერა“ – შსს-ს მეშვიდე სამმართველოს უფროსი დგებუაძე, ბაჩო ახალაიას მოადგილე ჭარბაძე, ახლა გაქცეულია, ნაძირალა გოგა ონიანი, იმ პერიოდში ახალაიას მოადგილე ბრძანდებოდა, მერე ადვოკატად და უფლებადამცველად რომ მოგვევლინა. ვითომ ციხეშიც ჩასვეს, მაგრამ ორი წელი არც კი მჯდარა, გამოუშვეს და დიდი ხანია თავისუფალია.



აგიხსნით, რატომაც იყო ნაცების მოწყობილი ეს ვითომდა ბუნტი. ორთაჭალის ციხიდან პირდაპირი ასასვლელი იყო „რეზბალნიცაზე“ (ციხის საავადმყოფო), საიდანაც დაიწყო ყველაფერი, იქ ყავდა ბაჩო ახალაიას თავისი „ფავორიტები“, პრივილეგირებული პატიმრები, მათ დაიძახეს საავადმყოფოდან ვიღაც ქურდს აწამებენო. ახალაიას და ბოკერიას „თემა“ იყო, რომ ვითომ ვიღაცას აწამებდნენ, სინამდვილეში არაფერი ხდებოდა, ის ვითომდა ქურდი პაატა-პლატონ მამარდაშვილი და მისნაირები რა თქმა უნდა, ბაჩო ახალაიას „ხელის ბიჭები“, ლაქიები იყვნენ. ვის ჰქონდა მაშინ მაგ ხელა გამბედაობა, რომ ქურდებისთვის ასეთი რაღაც გაებედა. უბრალოდ პატიმრები მოატყუეს, გააცურეს ამ დაძახებით, რომ პატიმარს აწამებდნენ, მაშინ ასე თუ ისე არ იყო ჩამკვდარი კაცური სულისკვეთება, ე.წ. კაი ბიჭობა, „ბლატაობა“ და სოლიდარობა გამოუცხადეს პატიმარს, მაგრამ არავითარი ბუნტი, ხალხი უბრალოდ ყვიროდა, მეტი არაფერი. მერე იქ ერთმა ქურდმა, ავალიანმა ხელი დაარტყა ბაჩო ახალაიას და ახლა ის საცოდავი ინვალიდის ეტლში ზის. მაშინ ბაჩო ახალაია ტელევიზიით გამოვიდა და ჟურნალისტის კითხვაზე, ციხეში რა ხდებაო, არაფერი, კრიმინალები ბუნტს აწყობენ, ეს დასაწყისიაო, ე.ი. პატიმრებზე ანგარიშსწორებაო. ეს მხოლოდ სიტყვები იყო, რეალურად როგორც მოექცნენ თავინთივე მოწყობილი „ბუნტის“ დროს მათ, ეს საკუთარი თვალით ვნახე. საზოგადოებას უკვირს, რატომ არ გამოდიან ნაცების ციხეში საშინელება გამოვლილი პატიმრები და არ ამხელენ ნაცჯალათებსო. ჩემი ინფორმაციით, იმ პატიმრების 99%-ს გადაუღეს ვიდეოკადრები, ვისი გაუპატიურების ინსცენირებაც მოხდა, მათი მეუღლეების მიყვანა ციხეში და ა.შ. ყველა ეს საშინელება გადაღებული აქვთ და ჩანაწერები მათ ხელთაა. საუბარია რიგით მოქალაქეებზე, თორემ მართლა „კანონიერი ქურდები“ ისინი იყვნენ, რომლებიც გაიქცნენ საქართველოდან ან ვინც დაიღუპა. სააკაშვილის დროს ქურდი ვარო ვინც ამბობდა ყველა ციხის ხელმძღვანელობასთან იყო შეკრული. პლატონ-პაატა მამარდაშვილიც, პირდაპირ „მასტერა“ დგებუაძეს ელაპარაკებოდა ტელეფონით, რომელიც კუდ-ის თანამშრომელი იყო. ამ საავადმყოფოში იყვნენ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პატიმრები, სიმსივნით დაავადებულები, ტუბერკულოზიანები, „ბუნტის“ დროს, ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასტიკი, სისხლისანი ანგარიშსწორების შემდეგ დაჭრილებიც, ბაჩო ახალაია, ბოკერია, მეგის ქარდავა, ჭარბაძე და დანარჩენი ნაბიჭვრები ავადმყოფ პატიმრებს ჭრილობაში ავტომატის ლულას უყოფდნენ, თავზე აშარდავდნენ და სხვა ბინძური ფორმით აწამებდნენ და ამცირებდნენ, რაც 2012 წლის აგვისტომდე გრძელდებოდა. სანამ ციხის კადრები გასაჯაროვდებოდა, ასეთი იყო ნაცების „დღის წესრიგი“.

როცა სროლა შეწყდა, ჩვენ შევედით დაჭრილების ჩამოსაყვანად, ჩემი ხელით ჩამოვასვენე ორი მიცვალებულიც, ერთს თავის არეში ჰქონდა გამჭოლი ჭრილობა, მეორე მუცელსა და ფეხში იყო დაჭრილი, ერთი 35 წლის იქნებოდა, მეორე 50–55 წლის. გარდაცვლილები გადასცეს მათ ოჯახებს, მაგრამ გარკვეული პროცედურების შემდეგ, ყველა ცხედარს ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, ნატყვიარები რომ წაეშალათ. ციხის ეზო დაჭრილებითა და მიცვალებულებით იყო სავსე. იქ იდგა ნაძირალა ბაჩო ახალაია და ანაწილებდა, ნეკნებჩამტვრეული, ხელ-ფეხმოტეხილი პატიმრები ციხეში დააბრუნა. საავადმყოფოში მხოლოდ მომაკვდავები მიყავდათ. დანარჩენები უკან შეატრიალეს და 40 დღის განმავლობაში რომელ ტკივილგამაყუჩებელზეა საუბარი, ამ დამტვრეულ-დალეწილ ხალხთან ექიმი არც კი შედიოდა, თქვენ უნდა დაიხოცოთო. გლდანის ციხეში რაც ხდებოდა, იმის მხოლოდ 1% გვაჩვენეს ტელევიზიით, ეს მხოლოდ ფრაგმენტია. მეგის ქარდავა პატიმრებს მაკრატლით აჭრიდა თითებს. ვითომდა ჯაშუშ არქანიას საქმე ხომ გახსოვთ? ჟურნალისტები ზოგადად საუბრობენ და არის აქ გარკვეული სიმართლე, მაგრამ ბოლომდე არ არის ყველაფერი ნათქვამი. არქანიას ძალიან რომ შეუტიეს და უკვე „ქათმების“ საკანში მიყავდათ, რომ გაეუპატიურებინათ, ამ ადამიანმა ღირსება რომ შეენარჩუნებინა, „აღიარა“ არ ჩადენილი დანაშაული. მისი დაწერილი ჩვენება რომ მიუტანეს მეგის ქარდავას, ამ ნაძირალამ ის ოთხი თუ ხუთი ფურცელი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შეაჭამა პატიმარს. არქანიას ძალით დაალევინეს ლიტრანახევარი წყალი და მუცელზე ხელკეტები ურტყეს. ამიტომ ვამბობ, რომ ვერ აღგიწერთ ისეთი საშინელებები ხდებოდა 2009–2011 წლებში. ამის გამოძიება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ სამწუხაროდ არ ხდება. ამ პერიოდში ყოველდღე გადიოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გარდაცლილი პატიმარი. 2008 წლიდან მოყოლებული გლდანის ციხის ყოველდღიური „სტუმრები“ იყვნენ ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავაზე აღარაფერს ვამბობ, ციხის მაშინდელი უფროსი „ქილერა“-ალექსანდრე მუხაძე, ახალაიას მოადგილეები ძიმცეიშვილი და ჭარბაძე, სამხედრო პოლიციის წარმომადგენელი ნაძირალა ჯალათები, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი დავით ჭაკუა და გაგა მკურნალიძე და იცით რას აკეთებდნენ?

6 გვ.





# პოლიტიკა, როგორც თეატრი

4 გვ.

კორუფციასთან გვაქვს. სიმართლე გითხრათ, ამ ბრალდების ლოგიკა სრულიად გასაგებია. ვიმეორებ, სახელმწიფო ვალდებულია იცოდეს რა ხდება. მან კი არ ჩანს, რომ რამე იცოდეს. ასევე, არ ჩანს, რომ იგი ამ საკითხში კომპეტენტურია. თუ სახელმწიფომ არ იცის რა ხდება, ვერც მე გავცემ პასუხს, რადგან შეიძლება კორუფციასაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ შეიძლება წინდაუხედაობაა, ან პარტიული დაპირისპირება. რაც თავად ამერიკაში ხდება — დაპირისპირება „დემოკრატებსა“ და ტრამპს შორის, აშკარას ხდის, რომ ამერიკელები არანაკლებ დაუნდობელნი არიან საკუთარი ქვეყნის მიმართ, ვიდრე ჩვენ ჩვენი ქვეყნის მიმართ. ჩვენ, სულ გვგონია, რომ ისინი პატრიოტები არიან. არა, არც ისინი არიან პატრიოტები. მათ ნააზრევშიც ავტომატურად იგულისხმება ის, რასაც გეუბნებიან, რაც ყოველთვის გამართლებული არ არის. ფაქტია, რომ დღევანდელ ამერიკულ ელიტას ის ვერ გაურკვევია როგორ უნდა მართოს საკუთარი

**დაცვის სფეროში ფინანსებს შეგიმცირებთო.**

— თუ ფინანსებს შეამცირებენ, ამით საქართველოს ხელისუფლებას, ძალაუნებურად, უბიძგებენ იმისკენ, რომ ნაბიჯები სხვა მიმართულებით გადადგას. 2008 წლის ომის მერე, მიშა ბოიკოტის რეჟიმში იყო — არსად პატიჟებდნენ, მისთვის ხელის ჩამორთმევა არავის უნდოდა და ა.შ. მიშამ რა ქნა? — ირანს ევროპასთან სავაჭროდ კარები გაუხსნა. ამით ამერიკას მიანიშნა: შენ თუ გააკეთებ ისეთ რამეს რაც მე არ მესიამოვნება, მეც ანალოგიურად მოვიქცევიო. ძალაუნებურად, თუ ეს გადაწყვეტილება მიიღეს, რომ არიქა, საქართველო დავსაჯოთ და შეიარაღება არ მივცეთო, ამით გვაიძულებენ ისეთი რამ გავაკეთოთ, რაც მათ არ ესიამოვნებათ. ჩვენ ამ მიმართულებით, უბრალოდ, არ ვფიქრობთ იმიტომ, რომ ამერიკამ მართლა ბევრი რამ გაუკეთა ჩვენს ქვეყანას. იგივე, სააკაშვილთან ურთიერთობაშიც. აქ, სტერეოტიპია, რომ მიშა ამერიკის პროექტია. სინამდვილეში, 2012 წელს ამერიკის ელჩი მიტინგებზე დადიოდ, ა რათა სააკაშვილს რამე არ მიექარა და ხე-



ქვეყანა ისე რომ დანგრევამდე არ მიიყვანოს. ის რაც ახლა ხდება, ამ ელიტის პოლიტიკის შედეგია. ამერიკა რომელსაც ვერ გაურკვევია თავისთვის რა არის კარგი და ცუდი, ამას ჩვენ შემთხვევაში გაარკვევს?! ზემოთ, 2008 წლის ომი ვახსენე, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შემდეგი იყო: პუტინს საბაბი მისცემოდა დასავლეთი დაესაჯა იმისათვის, რომ მან კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. ჩვენ, კოსოვოს დამოუკიდებლობა არ ვაღიარეთ, მაგრამ ამის გამო არავინ წაგვჩხუბებია იმიტომ, რომ ჩვენი მდგომარეობა იცოდნენ, ვგულისხმობ, აფხაზეთის და ოსეთის მოვლენებს. როცა ჩვენი ანალიტიკოსები კითხულობდნენ: თქვენ, რაში გჭირდებათ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაო, ამერიკული მხარე კითხვაზე ვერ პასუხობდა. გარკვეული იერარქიის დონის ხალხი აზრზე არ იყვნენ რაში სჭირდებოდათ ეს, მაგრამ იძახდნენ: უნდა ვაღიაროთო. კოსოვო ამერიკამ რუსეთის ჯინაზე უნდა აღიაროსო, ეს ამოცანა მას მერე ამერიკულ დღის წესრიგში დარჩა. განა ისინი ამ სტილს შეცვლიან იმისთვის, რომ ქართული სინამდვილე კარგად გაიგონ?! მათ რაც აკვიატებული აქვთ იმას აკეთებენ.

**— რას ფიქრობთ, ქართულ პოლიტიკურ თეატრში უცხოეთის — აშშ-ს, ევროპარლამენტის ჩართულობაზე? საქმე იქამდე მივიდა, რომ აშშ-მ განგვიცხადა: თუ 8 მარტის შეთანხმება არ შესრულდება და პოლიტ.პატიმარი რურუა ციხეს არ დატოვებს, 2021 წელს თავ-**

ლისუფლება მშვიდობიანად დაეტოვებინა. ეს ასე არ იქნებოდა, ამერიკა თავის დროზე რომ დაკვირვებოდა, რა ხდებოდა საქართველოში. მან თავისი მდგომარეობა გაირთულა იმით, რომ დაუფიქრებლად მოიქცა და მიშას მოღვაწეობას ადეკვატური რეაქცია არ მისცა. მათში ბევრი რამ არის დასაფასებელი, ოღონდ, ნუ გვექნება იმის ილუზია: რასაც ისინი მოიფიქრებენ, აუცილებლად 100 პროცენტით სწორია. ისინიც ადამიანები არიან. თანაც, დიდი ქვეყნები დიდ შეცდომებს უშვებენ. ამის გამო ამერიკაზე გაღიზიანება არ ღირს ისევე როგორც ევროპაზე. ეს შეცდომები უფრო იმისთვის გამოდგება, რომ ერთიც და მეორეც შეგვეცოდოს, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. საიდან დაიწყო ჩვენი ევროპაზე ორიენტაცია? — ნავთობსადენიდან, ხომ. სწორედ, ამის მერე გაახსენდათ, რომ საქართველო შეიძლება ევროპული ქვეყანა აღმოჩნდეს. იქამდე, რუსეთმა სოხუმი ისე დაგვამხო თავზე, სამძიმრის დეპეშაც არ გამოუგზავნიათ. ნავთობის თემა ვინ მოიფიქრა? ისევ ჩვენ, ხომ. ამ საკითხმა ამერიკის ყურადღება ორწელიწადში დაიმსახურა. ორი წლის მერე როგორც იქნა ითქვა, რომ ამერიკის ინტერესების წითელი ხაზი კავკასიაზე გადის. ასე, რომ მოდით, ჩვენი გასაკეთებელი თავად ვაკეთოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24









# რა მოხდა 2006 წლის მარტში „ციხის ბუნტის“ დროს?

5 გვ.

**- ახალაიას გარდა სხვა რომელიმემ თუ აგო პასუხი?**

- მკურნალიძე ახლა საცხოვრებელ კორპუსებს აშენებს, ისე, მაგან ითანამშრომლა გამოძიებასთან. ამ გუნდს გლდანის ციხეში ერთი საერთო კაბინეტი ჰქონდათ, სადაც იკრიბებოდნენ. ამოყავდათ რომელიმე ვაჟკაცი პატიმარი, რომელიც იცოდნენ გამორიცხული იყო გამოეტეხათ. ამ ბინძური ნაძირლების თვალწინ პირდაპირ აუპატიურებდა „ქათამი“ ამ პატიმარს, ესენი უყურებდნენ, რამდენიმე ნაბოზარი ვიდეოკამერითაც იღებდა. ეს კადრები მიჰქონდათ ალქაჯ კალმახელიძესთან და სააკაშვილთან, მერწმუნეთ ესენიც უყურებდნენ. შემდეგ ბაჩო ახალაია დათვრებოდა, ეგ ნარკოტიკს არ მოიხმარდა, დალევა უყვარდა, დათა ახალაია, მეგის ქარდავა, სოსო თოფურიძე ნარკომანები იყვნენ, ასე დალეულ-„გაჩხერილები“ პატიმრებს სახეზე აწვავდნენ სიგარეტს, აფურთხებდნენ, ბოდიში მომითხოვია აშარდავდნენ. ვერ აღგიწერთ, ისეთ რაღაცებს აკეთებდნენ. ინტერნეტსივრცეში დავდე სიგარეტის ნამწვით ნაწამები პატიმრების ფოტოები, მაგრამ ეს ფოტოები წამებიდან ერთი თვის მერეა გადაღებული, როცა ნაიარევები თითქმის მორჩენილი იყო. როგორც გითხარით, პატიმრების უმრავლესობას ყველაფერი გადაუღეს თავისი აღიარებებიანად და შენახული აქვთ, ყველა მათგანის ტელეფონის ნომერი და ბინის მისამართი იციან. გინახვათ რომელიმე პატიმარს, გარდა ყოფილი სამხედროებისა და წვრილფეხობისა, თანაც სულ რამდენიმეს, საჯაროდ ესაუბრა ამ საშინელებების შესახებ.

ამ ყველაფერში მთავარი სანდრა რულოვსის ინტერესები იყო, ის „კურირებდა“ ჯანდაცვის მთელ სისტემას, ის ორი ნაძირალა ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და მისი მოადგილე ანდრია ურუშაძე ჩვეულებრივი ლაქიები იყვნენ. სანდრა კურირებდა გორის სამხედრო ჰოსპიტალს, შსს-ს ჰოსპიტალს და საერთოდ, ჯანდაცვის მიმართულებას ამ უწყებაში, სასჯელაღსრულების სისტემაზე აღარაფერს ვამბობ. როგორც გითხარით, 2009–2011 წლებში ყოველდღე გაყავდათ ციხეებიდან გარდაცვლილი პატიმარი, ზოგიერთი დაძინებული იყო, მაგრამ ისე აფორმებდნენ, თითქოს მოკვდა. გაიყვანდნენ ამ ადამიანს, გამოშიგნავდნენ და ყველას ერთი დასკვნით უშვებდნენ, გულის შეტევით გარდაიცვალაო. ორი-სამი ამ დიაგნოზით გარდაცვლილი კიდევ მესმის, მაგრამ 100–150? ადრეც გითხარით, სასჯელაღსრულების სისტემაში 1200 ადამიანზე მეტია გარდაცვლილი, მაგრამ ეს ის პატიმრებია, რომლებიც ოფიციალურად იყვნენ დაჭერილები და მსჯავრდებული. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, გაცილებით მეტია მოპარული თუ ქუჩიდან გატაცებული, რომლებიც დახოცეს და მათი ცხედრები სადღაც გადაყარეს ცხედრები. აგერ ქარდავასა და ცინდელიანის ამბავი ავიღოთ, დღესაც არ იცის ოჯახებმა სად არიან მათი შვილები.

ახლა მიდის პირდაპირ მიზანმიმართული შტევა საპატრიარქოსა და პატრიარქზე, რადგან ეს არის ერთადერთი ციტადელი, რომელსაც ხალხის უდიდესი ნდობა აქვს. ცდილობენ საპატრიარქოს სახელი გაუფუჭონ, ხმებს ყრიან, რომ თითქოს იქ სიბინძურე ტრიალებს, რათა მან ხალხში ნდობა დაკარგოს. ეს ჩვენი მთავრობის ბრალია. ჩავიდეთ ბათუმში, სადაც მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობა სჭარბობს, მივიდეთ სადაც ათი კაცი ზის და მოლას შევაგინოთ, შეიძლება ცოცხალმა ვერ გამოვასწროთ. სარწმუნოების შეურაცხყოფა დანაშაულია, მოგწონს ის თუ არა, სხვის ტრადიციულ სარწმუნოებას არ უნდა შეეხო. ახლახან ერთ-ერთმა მამაომ გააკეთა განცხადება, დათა ახალაია და სოსო თოფურიძე პირადი ცხოვრების კადრების გამომზეურებით იმუქრებიანო, მე ოთხი-ხუთი თვის წინ განვაცხადე საჯაროდ, რომ ასეთი რამ მოხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ არცერთი უწყება ყურს არ იბერტყავს, არ აინტერესებთ. ასეთ გულგრილობას შეიძლება მკვეთრად უარყოფითი შედეგი მოყვეს. სანდო წყაროდან მივიღე ინფორმაცია, რომლის ოფიციალურ დონეზე გადამოწმება ვფიქრობ, თქვენთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

**- რას გულისხმობთ?**

- როგორც კი ნაძირალა ვანო მერაბიშვილი „მატროსოვის“ ციხიდან გამოვიდა, როგორც ამბობენ, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის ექვსმა მაღალჩინოსანმა პატაკი დაწერა თანამდებობის დატოვებასა და სამსახურიდან წასვლაზე. ექვსივე მერაბიშვილთან წასულან. შსს-ს წარმომადგენლებმა შეიძლება ის ვერ გითხრან სად წავიდნენ, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით დატოვა თუ არა ექვსმა მთავარი სამმართველოს უფროსმა სამსახური, ამას არ დამალავენ. ამხელა დეპარტამენტის ხელმძღვანელი გვყავს დანიშნული, 1000 თანამშრომელი აბარია, უზარმაზარი ინფორმაციების მატარებლები არიან. რამდენადაც ვიცი „გაქცეულებს“ შორის, ნარკომანიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების შეფებიც არიან. დარწმუნებული ვარ მათ ყველა საიდუმლო მასალა ამოღებული აქვთ, ფლეშკებზე გადატანილიც, კოლექტიური ნაცები ჯერ არ ამხელენ ამ ამბავს, მაგრამ ადრე თუ გვიან, დაახლოებით აგვისტო-სექტემბერში დაიწყებენ სიბინძურეეების გადმონთხევას. რატომ არ დასაჯეს ეს მაღალჩინოსნები, მათი საქციელი ხომ დანაშაულია, რიგითი ოპერები ხომ არ არიან, მთავარი სამმართველოების უფროსები იყვნენ, მინისტრმა წარადგინა და დანიშნა. „გაღლეტილი“ ვანოს რამდენი ქონება ჩამოვთვალეთ, დაუსაქმებელს არცერთს არ დატოვებს, წაიყვანს აგერ „ზედაზენში“ ან სხვა რომელიმე კომპანიაში თუნდაც დაცვის უფროსად, სადაც მინიმუმ 3.000 ლარია ხელფასი. ეს უღირს მერაბიშვილს, იმიტომ, რომ მაშინდელი ჩანერგილები ყავდა ამ სისტემაში. ინფორმაციები ჟონავს ძალოვანო სტრუქტურებიდანო, აბა არ გაჟონავს, როცა ნაცების კადრებითაა იქაურობა გაძეძგილი. 2–7 წლის წინ რაღაცა სერიოზული დანაშაული მოხდა და პოლიციის სამმართველოდან საიდუმლო ინფორმაცია გამოიტანეს. სამართალდამცავ სტრუქტურებში რომ შედიხარ, ყველანაირად გჩხრეკენ, ვერაფერს შეიტან შიგნით, მითუმეტეს გადასაღებ აპარატურას. მინისტრი საქმის კურსშია რაიმე გადაღების შესახებ და ის ტელეკამერას და ჩანაწერს სამინისტრო ინახავს. ვიღაც რიგით თანამშრომელს კი არა, სამმართველოს უფროსს არ აქვს ჩანაწერის გაცემა-გამოტანის უფლება, ამ დროსბოკერიას ცოლს თამარა ჩერგოლეშვილს ჩაუვარდა ხელში ხსენებულ დანაშაულზე დაკითხვის ვიდეოჩანაწერი. ეს რას ნიშნავს?

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რა გითხრათ, რით გაგამწაროთ?

### აუცილებელი განმარტება

აჰა, მოგვიახლოვდა კიდევ ერთი არჩევნები. იძულებული ვარ, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილის სათაური ვისესხო („რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?), რომელიც ჯერ კიდევ 1887 წლის 31 დეკემბერს გამოაქვეყნა. ოღონდ, ილიასეული შეკითხვა (მოვუბოდიშებ მის სულსა) ცოტაოდენ ჩემებურად უნდა შევცვალო – რა გითხრათ, რით გაგამწაროთ? თქვენ არა, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, თქვენს გამწარებას არ ვაპირებ, ალბათ მიმიხვდით, ვისი გამწარება მინდა. თუმცა თავს ვალდებულად ვთვლი, მაინც დავაკონკრეტო: ჩემი ვალია, მუდმივად გავამწარო ნაცები, გნაცები და შმაცები, რადგან ისინი 9 წლის განმავლობაში ამწარებდნენ და აწვალებდნენ საქართველოს მოსახლეობას.

### მიშა იმაზე იმაზე უფრო გიჟი ყოფილა, ვიდრე გვეგონა!

სულ ვამბობდი, დაცხება თუ არა, მიშა სააკაშვილს ტვინში ოფლის გაჟონვა ისევ დაემართება და იმაზე უარესად გაუბერამს, ვიდრე აქამდე უბერამდა-მეთქი. არა, ეგ არც ზამთარშია დალაგებული, არც ჩემოდგომას, მაგრამ ივნისი-ივლისიაგვისტო მაინც კრიზისულია.

ერთი კვირის წინ სააკაშვილი





ტელევიზორში დაუჯდა ვინმე დიმიტრი გორდონს (რომელიც უკრაინელი შმაცია) და ისეთები ელაპარაკა, ეგეთებს საღ ჯანზე მყოფი ადამიანი არ და ვერ ილაპარაკებს: ესე იგიო, თბილისში ჯორჯ ბუში რომ ჩამოვიყვანე, ხომ გახსოვთო? ჰოდა, მაგას უვარგისი, აყროლებული ხინკალი ვაჭამეთო. იმდენად უვარგისი, რომ მე ვერ შევჭამე, მაგრამ ჯორჯ ბუშს ძალიან მოეწონაო. გაიგონეთ? მე ვერ შევჭამე, ისე ყარდაო. კი, მაგრამ რათა, შე ჩემა, რათა, თბილისში ხეირიანი ხინკალი არ იშოვებოდა? დარწმუნებული ვარ, ასე არ იქნებოდა... აბა, მითხარით, რომელი ჭკუათმყოფელი მზარეული ან რესტორნის მეპატრონე გაბედავდა, ჯორჯ ბუშისთვის აყროლებული ხინკალი მიეტანა? რაღაცაშია საქმე, როგორც ჩანს, 2008-ში რაღაც არ შეუსრულა ბუშმა ან წაგებული ომის შემდეგ ბებიამის მზიას მუთაქა თავზე დაახურა და ახლა ანგარიშს უსწორებს, ფაქტობრივად მასხრად იგდებს. რა გითხრათ, რით გაგამწაროთ, მეც კი არ მჯერა, ეს დებილი იყო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი 10 წლის განმავლობაში?!

გორდონთან ინტერვიუში სააკაშვილმა ამაყად აღნიშნა, რომ პუტინს ერთი-ერთზე არანაკლებ 40-ჯერ შეხვდა და თვითოეული შეხვედრა გრძელდებოდა 4–5 საათი!!!

მეტიც, თურმე მინსკში გამართულ დსთ-ს ქვეყნების სამიტზე რუსეთის პრეზიდენტი ომით დაემუქრა:

„პუტინი არ გექცევა, როგორც პოლიტიკოსს. პუტინი ცდილობს, გადაგიბიროს. როდესაც პირველად წავედი შესახვედრად, დიდი მოლოდინები მქონდა. დაახლოებით ხუთი საათი ვსაუბრობდით. ჯერ შეხვედრის ოფიციალური ნაწილი იყო, მერე კაბინეტში შემიყვანა. მითხრა, რომ ეს სტალინის კაბინეტი იყო. პიჯაკი გაიხადა. ბუხართან დავსხედით. მოიტანა კონიაკი, ჩაი და ვისაუბრეთ რამდენიმე საათი. შემდეგი შეხვედრა მინსკში დსთ-ს ქვეყნების სამიტზე შედგა. ბნელ ოთახში გამიყვანა, მუხლში ფრჩხილები ჩამარჭო, თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს და ომით დამემუქრა. როგორც შემდეგში ვნახეთ, ის არ ხუმრობდა“.

რას აკეთებს ამ დროს სააკაშვილი? ამაზე არაფერს გვეუბნება, მაგრამ 2008 წლის ომის დღეებში განვითარებული მოვლენებისა და შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერზე დათანხმდა, ეს ჩემის გადანგრეული. დარწმუნებული ვარ, შეთანხმება იყო ასეთი: ვოვაჯან, ეხლა მთლად ნუ გამაფარჩაკებ, მე გავატრაკებ, შენ დაიწყე და მერე წაიღე ყველაფერი, რაც გინდა. არ გამოვრიცხავ, სააკაშვილს იმ ბნელ ოთახებში რამოდენიმეჯერ „ჩანაფსამიც“ ჰქონდეს, აღარაფერს ვამბობ ჰალსტუხისა და სხვა საგნების ღეჭვაზე. რა გითხრათ, კიდევ რით გაგამწაროთ, ეს „ფანდურა“ იყო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი?!

მიხეილ სააკაშვილმა არც დონალდ ტრამპი დაინდო, თავისებურად „მოეფერა“, ეგაო, კაცო, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, ისე მეძმაკაცებოდა, ღამის კლუბებში ერთად დავდიოდით და შადრევნებშიც ერთად დავხტოდითო. მარტო ეგ არა, სხვებიც იყვნენო:

„სტუმრებს ძალიან ხშირად ვმასპინძლობდი. ყველას ვიღებდი. ჩვენ დავრბოდით ეშმაკის ბორბლებზე. ძალიან ბევრს უყვარდა იქ ჩასვლა – ჰილარი, ტრამპი, მაკკეინი იყვნენ ბათუმში დაახლოებით ათჯერ. ტრამპიც იყო იქ, ჩვენ დავდიოდით ფეხით, მე მას ჩემი ელექტრომობილით ვატარებდი დილის 7 საათამდე, ვიყავით ორ ღამის კლუბში, შადრევნებში ვხტუნაობდით, ყველა მხრიდან ვათვალიერებდით ალისა და ნინოს ძეგლს“.





გადავამოწმე ამ დებილის ნათქვამი სხვათა შორის, სააკაშვილი ტრამპზეც დაბოღმილია, თითქოს ტრაბახობს, ჩემი მეგობარიაო, მაგრამ სინამდვილეში ამცირებს და იცით, რატომ? ტრამპმა თავის ინაუგურაციაზე არ დაპატჟა. ეს გიჟვრაცუა მაინც ჩავიდა თეთრ სახლთან დაუპატიჟებლად, მაგრამ არ შეუშვეს, გამოაგდეს. სოციალურ ქსელებში ვიდეოც კი გავრცელდა, როგორ იდგა მიმდებარე ტყეში და როგორ თამაშობდა მობილურით. არ ვიცი, რა გითხრათ, რით გაგამწაროთ, ეს იყო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, ეს ტარაკუა?!

ერთადერთი, ვინც შედარებით ხშირად ჩამოდიოდა (თუმცა ათჯერ არც ის ყოფილა), ჯონ მაკკეინი გახლდათ. მახსოვს, ერთხელ სვანეთში ჰყავდა აყვანილი სააკაშვილს და კინაღამ გადაჩეხა ხევ-ხუვებში. ცხონებული ბოლოს 2016 წელს ჩამოვიდა, ამ ხელისუფლების წევრებთანაც წაიძმაკაცა.

მეგობრებო, ჯერ სად ხართ? სააკაშვილს განდონთან... უკაცრავად, გონდონთან ინტერვიუში ისეთი კულმინაცია ჰქონდა, ალბათ დავით აღმაშენებლის ძვლები საფლავში შეტოკდა:

„ქართველები ახლაც მაფასებენ. დავით აღმაშენებელი ყველაზე დიდი ქართველი მეფე იყო, მას არ ვედრები, მაგრამ იგი ხუთი საუკუნე არავის გახსენებია, მიუხედავად იმისა, რომ მან ქართული სახელმწიფოებრიობა შექმნა. მასთან შედარებით არავინ ვარ, მაგრამ მგონია, რომ მასზე ბევრად უფრო მალე გამიხსენებენ კარგად. ამისთვის მზად უნდა იყო, როდესაც მოძველებული დოგმების წინააღმდეგ მიდიხარ, ეს კულტურული რევოლუციააა. შენ ქვეყანას პროგრესისკენ ექაჩები, მაგრამ ტკივილი ხომ რჩება? ამიტომ, მათ აქვთ განცდა, რომ მათზე იძალადეს. დიახ, მათ ამ მხარეს მოსწონთ და უკან დაბრუნება არ უნდათ, თუმცა ადამიანი, რომელმაც ისინი მეორე ნაპირზე გადაიყვანა, მოსახლეობაში შერეულ გრძნობებს იწევს. ამას დაემატა რუსეთის პროპაგანდაც. მე არ ვაპირებ უკანა სავარძელზე ყოფნას, მე საჭესთან ჯდომა მიყვარს, მანქანის, თვითმფრინავის საჭესთან... ვნახოთ, რა იქნება“.

არაო, კაცო, დავით აღმაშენებელს კი არ ვედრებიო, მასთან შედარებით არაფერი ვაროო... თუმცაო, ის ხუთი საუკუნის განმავლობაში



არავის გახსენებია, მე კიდევ უფრო მალე გამიხსენებენო. ესე იგი, თითქოს თავმდაბლობს, მაგრამ ამავე დროს ძალიან მაგრად თავხედობს, ეს ჩემის გადანგრეული!

ჯერ ერთი, გაუგებარია, რომელ ხუთ საუკუნეს გულისხმობს, როდის არ ახსოვდათ, როდის არ ახსენებდნენ დავით აღმაშენებელს? მეორეც – ეს ავლიპ ზურაბაშვილის პაციენტი იძახის, მე რომ ხალხს ვაწამებდი, ვხოცავდი, ვაუპატიურებდი, ქონებას ვართმევდი, ამით ქვეყანას პროგრესისკენ ვექაჩებოდიო... სანდრო გირგვლიანი რომ მოკლეს, პროგრესი იყოვო... სულხან მოლაშვილი რომ მოკლეს, პროგრესი იყოვო... უკანალში „დუბინკების“ კეთება პროგრესი გახლდათო... ვანო მერაბიშვილი, ახალაიები, ქარდავები თუ ოქრუაშვილები პროგრესის მოციქულები იყვნენო. უკაცრავად, ჩემო მკითხველებო, თავს ვეღარ ვიკავებ... ეს პატრონმოტყნული იყო ამ ქვეყნის პრეზიდენტი? აი, არ მჯერა, ვერ ვიჯერებ!

და ბოლოს... სააკაშვილი განდონთან... უკაცრავად, გორდონთან საუბარში ისეთ რაღაცას ამბობს, სასწრაფო წესით კლინიკაშია გადასაყვანი. ისე, ნუ გამოვრიცხავთ, უკრაინაში რაღაც სამსახური რომ შეუქმნეს, სინამდვილეში კლინიკა იყოს. რეფორმების კომიტეტიო... აბა, მაგისი რეფორმა უნახავს ვინმეს? მოკლედ, სააკაშვილი იმ პერიოდს იხსენებს, ეგვიპტის ბნელ მუზეუმში რომ შეიყვანეს:

„წამიყვანეს ეგვიპტის მუზეუმში, ვნახე ტუტანჰამონი, იქვე იწვა რამზეს მეორე, ხელი ჩამოვართვი. დეტალებს არ მოგიყვებით, არაფერი ცუდი არ მომხდარა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ თურქეთში ვიზიტის დროს, საღამოს ველოსიპედით გავისეირნე, რაღაც ძალამ გადამაგდო და ზუსტად მარჯვენა ხელი ხუთ ადგილას გადავიტეხე“.

აქაც ცრუობს ჩვენი ყოფილი, რამზეს მეორე არაფერ შუაშია, კაცი მოიკითხა, ხელი ჩამოართვა, რა უნდა სწყენოდა? აი, სხვა ფარაონებს



ყურადღება რომ არ მიაქცია, სხვები რომ არაფრად ჩააგდო და არც კი გაუღიმა, იმათ იფიქრეს, ეხლა კი გიტირებთ კეთილებსო, ძვლებში დაგამტვრევთო. აბა, ნეჰები, ხაიუ, სემერხეტი, ჰოტეპსეხემუი, ნუბნეფერი, ხასეხემუი, ხეოფსი, მენკაურა, ნეჩერიკარა, აჰოტეპრა და სხვები მოიკითხა? ხელი ჩამოართვა? არა! კაი, თუ ესენი უცნობი სახეები არიან და ამის გამო არაფრად ჩააგდო, ხეოფსი მაინც ხომ ცნობილი სახეა? აი, ამაშია საქმე, მეგობრებო, სწორედაც ხეოფსმა იძია შური, გადაუმტვრია ხელი ხუთ ადგილას და არა რამზეს მეორემ, როგორც თვითონ ლაქლაქებს. სხვათა შორის, ეს ხეოფსიც მაგარი ჭკვიანი ჩანს, ხუთგან გადაუმტვრია... ეს ციფრი ხომ სააკაშვილს ძაან უყვარს? ისე, რაღა დაგიმალოთ და... პატივცემულ ხეოფსს უთქვამს შინაურობაში, ეგ ტიპი არ მომეწონა, 41 ნაწილად უნდა ამეკუწა, მაგრამ ამ ეტაპზე თავი შევიკავეო.

არა, რააა, ამ ჯერზე მეტი რა გითხრათ, ნაცებო, გნაცებო და შმაცებო, რით გაგამწაროთ? თქვენ კი, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, უბრალოდ იცინეთ, მადლობა უფალს, რომ ეს შავი ჭირი მოვიშორეთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს?“

გასაოცარი ამბავია — როგორ იტევს ეს პატარა ქვეყანა ამდენ მოღალატეს, ამდენ ფარისეველს, ამდენ არაკაცს, ამდენ გათახსირებულს, ამდენ სალახანას და არამზადას?








კიდევ უფრო გასაოცარი ის არის, რომ როგორ უძლებს ეს პატარა ქვეყანა ამდენი გათახსირებულის მოძალებას, რით უდგას სული და ფეხზე როგორ დგას?

ამდენი სვავი და ყვავ-ყორანი ჯიჯგნის, ამდენი წურბელა და ასპიტი წოვს სისხლს და ეს მაინც ფეხზე დგას.

მართალია, ცოტა წაბანცალებული და წაფერდებულია, მაგრამ თავი მაინც ამაყად უჭირავს და არ იმჩნევს, რომ დასუსტებული და დაძაბუნებულია.

30 წელია ერთი და იგივე ამბავი ტრიალებს ამ ქვეყანაში — გათახსირებულები გამუდმებით წინა პლანზე არიან, ყველგან ისინი ჩანან, ყველა მხრიდან მათი ხმა ისმის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გათახსირებულები გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე წესიერი და ნორმალური ადამიანები.

ტელევიზორს ჩართავ — ბოკერია, სხვა არხზე გადართავ ისევ ბოკერიაა, კიდევ სხვაგან გადართავ — უგულავაა, ემასთან გადართავ — ოქრუაშვილია, გრიგოლიასთან — მერაბიშვილი, გვარამიასთანაც მერაბიშვილი ან სააკაშვილი, აქუბარდიასთან — სანიკიძე, ტრაპაიძესთანაც სანიკიძე, ჟიჟილაშვილთან ისევ ბოკერია, სანაიასთან ისევ ოქრუაშვილი და ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად.

ორიოდე ტელეარხის გარდა, ყველა არხზე გათახსირებულები ჩანან, ყველა არხიდან გათახსირებულები გვმოძღვრავენ და ჭკუას გვარიგებენ, იმ ქვეყნის სიყვარულსა და ერთგულებაზე გველაპარაკებიან, რომელი ქვეყანაც ათასჯერ აქვთ გაძარცული და გაყიდული.

ზოგჯერ ისეც ხდება, ერთი და იმავე დროს სხვადასხვა არხებზე ერთი და იგივე პერსონები გვემასლაათებიან ერთდროულად.

საზარელი სანახაობაა ეს — აბა, როგორი ამბავია — ხუთი ბოკერია, ხუთი ბოკუჩავა, ხუთი სამადაშვილი, ხუთი ხოშტარია, ხუთი სანიკიძე ერთად ხუთ სხვადასხვა არხზე.

რა ჰქვია ამ საქციელს, როცა დადასტურებულად იცი, რომ ადამიანს, რომელსაც სისტემატიურად იწვევ შენს ტელეარხზე, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და მიუხედავად ამისა, თავს ისულელებ და ის ეჭუჭუკები, თითქოს არაფერი მომხდარაო.

რა ჰქვია და ვიღაცის აზრით, დემოკრატია ჰქვია, თუმცა, სინამდვილეში, ეს არის დამნაშავის რეაბილიტაციის, დამნაშავის „გათეთრების“ და მისთვის ცოდვების ჩამოწერის მცდელობა, რასაც არანაირი კავშირი დემოკრატიასთან არ აქვს.

გამოხატვის თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების საყოველთაოდ დადგენილი აღიარებული ნორმების დამახინჯებული ინტერპრეტაციის შედეგად საქართველოში გაჩნდა საეჭვო წარმომავლობის ფულით დაფინანსებული ტელემედიები, რომელთა მთავარი მიზანია, ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციის შექმნა, სკეპტიციზმის, უიმედობის, უპერსპექტივობის განცდის დამკვიდრება, მიზანში ამოღებულ პერსონებზე ცრუ ინფორმაციების, ჭორების, ცილისმწამებლური განცხადებების, უსაფუძვლო, დაუდასტურებელი ბრალდებების გავრცელება.

სულ ახლახან, ჩვენს თვალწინ, ორი ახალი ტელეარხი დაიბადა — ტელეკომპანია „მთავარი“ და ტელეკომპანია „ფორმულა“. დამფუძნებლები და მთავარი დამფინანსებლები — გიორგი (ჟორიკა) რურუა და დავით კეზერაშვილი („კეზერა“).

ხომ ყველაფერი ცხადია, ხომ ყველაფერი ნათელია ამ ორ პიროვნებასთან დაკავშირებით, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მარეგულირებელი კომისიისთვის უყოყმანოდ და დაუბრკოლებლად გაეცათ მაუწყებლობის ნებართვა.

რომელიმე ნარკობარონმა, რომელიმე კრიმინალურმა ბანდამ ან თუნდაც რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურმა რომ მოინდომოს საქართველოში ტელევიზიის გახსნა, იმდენად ლოიალური და ზელიბერალურია კანონები და ნორმატივები გვაქვს, დაუბრკოლებლად გახსნის.

გახსნის და გამოხატვის თავისუფლების და სიტყვის თავისუფლების სტატუსით დაცული და ხელშეუხებელი, არხეინად შეუდგება ქართული სახელმწიფოს ნელ-ნელა და დაგემოვნებით ნგრევას.

კი, მაგრამ, რა შეღავათია ჩვენთვის, ქართველებისთვის, აქამდე სიმწრით და ტანჯვით მოტანილ სახელმწიფოს ტანკებით მოაოხრებენ თუ ტელევიზიებით?

ან რა მნიშვნელობა აქვს იმას, რა ერქმევათ ამ მაოხრებლებს — მურვან-ყრუ თუ ნიკუტა გვარამია, ვანია თუ ჟორიკა, ინგა გრიგოლია თუ ნადეჟდა კრუპსკაია, ჟიჟილაშვილი თუ ფილიპე მახარაძე, გიორგი თარგამაძე თუ ვლადიმერ ულიანოვი, კეზერაშვილი თუ სოროსი?

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე, საქართველოში არ მომხდარა არც ერთი ტრაგიკული მოვლენა, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი ტელეჟურნალისტებს (მათ ნაწილს) არ ეთამაშოთ.

●

ამასწინათ დიდი ალიაქოთი ატყდა — გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ შეკვეთილი მკვლელობა მზადდებოდა და დაკავებულია ქილერი ვასამბეკ ბოკოვიო.

ცოტა ხანში გაირკვა, რომ ბოკოვი ქილერი კი არ იყო, ინფორმაციებს აგროვებდა გაბუნიას შესახებ, თუმცა ერთხელ წამოსროლილი ვერსია ბოკოვის ქილერობასთან დაკავშირებით მაინც აგრძელებდა არსებობას და ოპოზიცია თუ ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც მკვლელობაზე ლაპარაკობდნენ.

გვინდა ვიკითხოთ: რა კავშირი აქვს ჟურნალისტიკასთან იმას, რაც გაბუნიამ გააკეთა და რასაც მოჰყვა მთელი ეს დავიდარაბა?

სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომელიც უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევს პირის ქმედებას, რომელი ქმედებითაც სახელმწიფოს რაიმე სახით ზიანი მიადგა. პასუხისმგებლობის სიმძიმე თითქმის ორმაგდება, როცა ეს ქმედება ჩადენილია წინასწარგანზრახვით და გამიზნულად.

გიორგი გაბუნიამ არაერთგზის აღიარა, რომ ის, რაც მან გააკეთა, გააკეთა მიზანმიმართულად, გაცნობიერებულად, წინასწარ დაგეგმილი სცენარით, რითაც ქართულ სახელმწიფოს მილიონობით ზარალი მიაყენა და არა მხოლოდ ზოგადად სახელმწიფოს, არამედ კონკრეტულ მოქალაქეებსაც.

ისიც გასათვალისწინებელია, ალბათ, რომ ეს ზიანი არ ყოფილა მხოლოდ მატერიალური.

გაბუნიას პროვოკაციის გამო ქვეყანამ უმძიმესი ფსიქოლოგიური შოკი მიიღო.

აი, ეს ყველაფერი პროვოკატორ გაბუნიას ქართულმა სახელმწიფომ ხახვივით შეარჩინა, ახლა კი, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, სახელმწიფო დაცვა მიუჩინა და ისიც კი შესთავაზა, სახელს და გვარს შეგიცვლით, გარეგნობას შეგიცვლით, რომ ბოლომდე დაცული იყოო.

არ არის ცუდი აზრი — გადავაკეთოთ გიორგი გაბუნია ინგა გრიგოლიად, ან დიანა ტრაპაიძედ, ან ნინო ჯანგირაშვილად.

მე მგონი, ეს ბოლო ვარიანტი ჯობია — აქუბარდიასაც გაუხარდება — ერთის ნაცვლად ორი ეყოლება და ვერც პუტინი და კადიროვი აიღებენ ეჭვს — გაბუნია და ჯანგირაშვილი ისედაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს...

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც ისეთი სალახანა და ვიგინდარა იყოს, როგორიც გაბუნიაა, ხელისუფლებამ უნდა დაიცვას სიცოცხლის ხელყოფისაგან, ეს მისი უმთავრესი მოვალეობაა, მაგრამ ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობა ისიც ხომ არის, დაიცვას სახელმწიფო პროვოკატორების და ავანტურისტებისგან?

არადა, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, პროვოკატორების, ავანტურისტების, გათახსირებულების პარადია საქართველოში.

ქვეყნის გამყიდველები და მოღალატეები პატრიოტობას იჩემებენ მკვლელები, ბანდიტები, ყაჩაღები — პოლიტპატიმრობას, სადისტები და მანიაკები — სათნოების სახელით ლაპარაკობენ და უკან, ხელისუფლებაში აპირებენ მობრუნებას.

ფეკალიები მოჩქეფს ქართული ტელეარხების ეკრანებიდან, სიცრუის, უტიფრობის, უსირცხვილობის, ზნედაცემულობის ნიაღვარი მოჩქეფს და სიმყრალით და სიბინძურით გაჟიჟინებულ ჭაობში ნელ-ნელა ვიძირებით.

მართლაც გასაოცარი ამბავია — როგორ უძლებს ეს პატარა ქვეყანა ამდენ უზნეოს, ამდენ მუქთახორას, ამდენ მოღალატეს, ამდენ სალახანას?

„რა ამოძრავებს კიპარისის ტანს?“, რა უხილავი ენერგია აძლებინებს ამ ოთხივ კუთხით მობერილი ქარიშხლებისგან დაბარბაცებულ ქვეყანას, რომ ისევ ფეხზე დგას და მტერსა და მოყვარეს, ავად თუ კარგად — პასუხს ცემს?

**ვახტანგ ხარჩილავა**







# „პოლიტპატიმარი“ კრიმინალური სამყაროდან



გასულ კვირას თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით თევზაძემ, სოციალურ ქსელში ყოფილი შს მინისტრის, კახა თარგამაძის წერილი გამოაქვეყნა, რომლის ადრესატიც გენპროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი გახლდათ წერილს გიორგი რურუას მიერ ჩადენილ დანაშაულებების, კონკრეტული საქმეების ჩამონათვალი ახლავს. აღშფოთებული დავით თევზაძე წერს „რამდენადაც ვიცი, აქ ჩამოთვლილ დანაშაულებს კიდევ აკლია რამოდენიმე... მათ შორის, ერთი მკვლელობა, რომელსაც მოწმე ყავს და, იმედია, გამჟღავნდება ისიც, ხოლო როდესაც გამჟღავნდება, შერცხვება მგონია ბევრს. მიკვირს უბრალოდ, რატომ უნდა ცდილობდეს ნებისმიერი პოლიტიკოსი თავისი რეპუტაციის ამ ბიოგრაფიასთან დაკავშირებას? ანდა საქართველოში აკრედიტებული ელჩებს რატომ უღირთ თავიანთი ქვეყნების რეპუტაციით თამაში ქართველი მოსახლეობის წინაშე? ბუნებრივია, ეს ეხება იმ ელჩებს, რომლებსაც, ეგრეთ წოდებულ, 8 მარტის შეთანხმებაში მიუძღვით წვლილი“.

ერთი თვის წინ, სატელევიზიო სივრციდან გია ყარყარაშვილის გაკეთებულმა განცხადებამ, რომ მან ქილერი იცნო, რომელმაც მისი მეგობარი მოკლა და მასაც საკონტროლო ტყვია დაახალა, თუმცა სასწაულად გადაურჩა სიკვდილს საზოგადოება შოკში ჩააგდო. მართალია სახელი არ დაუსახელებია, მაგრამ მინიშნება-მხედრიონი, იგორ გიორგაძე, მათი მფარველი „დიდი რუსეთი“ და „ქალაქში ჩურჩულები“ საკმარისია გამოვიცნოთ ერთ-ერთი პოლიტქილერი, რომელიც დღეს რუსეთს ლანძღავს და დასავლეთზე ლოცულობს... 2000 წელს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტმა ადამიანის გატაცებისთვის წითელი ცირკულარით ძებნილი რურუა ფლორიდაში დააკავა და საქართველოს გადმოსცა. როგორც ჩანს, ყველა ფაქტების გაქრობა გაუჭირდათ ძმებ რურუებს და აღნიშნული ვიდეო მასალა მედიაში და სოციალურ ქსელში გავრცელდა. ნიშანდობლივია, რომ რურუას ქმედებით გაოცებული ოპერატიული თანამშრომელი მას ეკითხება – „რამდენი გყავს მოკლული, შე ნაბოზ..ო“. სოციალურ ქსელში „ვარდოსნების“ ეპოქაშიც მრავლად მოიპოვებოდა ძმებ რურუებზე მამხილებელი მასალები, თუმცა მაშინ დიდი მიხეილი ბოროტებასთან ერთად მეფობდა და ოთხმოცდაათიანი წლების ყველაზე სისხლიან პუტჩისტ-დამამხობელ და უმძიმეს კრიმინალ „პრიხვატიზატორებს“ უხვად უნაწილებდა სახელმწიფო თუ კერძო უკანონოდ მიტაცებულ ქონებას და ამავდროულად „მტრების“ დაწიოკება, გაწეწვის სრულ უფლებასაც აძლევდა. 2000 წელს დიდმა მიხეილმა „მყარად“ დატყვევებული ჟორიკა რურუა ქალაქის პროკურატურის და ვაკის რაიონის სასამართლოს „კლანჭებიდან“ შემდგომში „ქუჩის გასაკონტროლებლად“ და უბინძურესი დავალებების შესასრულებლად გამოიხსნა. რასაკვირველია არც მისი გამომძიებელი პაატა ტყეშელაშვილი დატოვა „უყურადღებოდ“ და არც მოსამართლე მამუკა ნოზაძე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ პაატა ტყეშელაშვილი გახლდათ სანდრო გირგვლიანის სააპელაციო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი. შემდეგ იმ მთაწმინდა კრწანისის რაიონის პროკურორი სადაც ყველაზე მრავლად მოიპოვებოდა მასალები ჟორიკა რურუას კრიმინალური, სისხლიანი წარსულის შესახებ. ამბობენ, მტკიცებულებების დიდი ნაწილი უკვალოდ გაქრა. ხოლო, შემდგომ გლდანი-ნაძალადევის მთავარი პროკურორი პაატა ტყეშელაშვილი, ნევროზის დიაგნოზით, 2010 წლის ივნისში, საეჭვო ვითარებაში, ნარკოლოგიურ კლინიკაში აღმოჩნდა, სადაც, გარდაცვლილის ოჯახის წევრთა განცხადებით, ექიმებმა მისი მკურნალობა უმძიმესი მეთოდით გადაწყვიტეს. კერძოდ, ექიმებმა პაციენტი ღრმა ნარკოზულ ძილში შეიყვანეს, რაც ტყეშელაშვილის გარდაცვალებით დასრულდა. კრიტიკული მედიცინის დასკვნაში წერია, რომ პაატა ტყეშელაშვილს შეუსვენებლად გადაუსხეს ოცდათოტხმეტი ლიტრი სითხე და ასევე, მის ორგანიზმში 18 ამპულა პრეპარატი „გომკი“ და ფლაკონი „თეოფენტალი“ შეიყვანეს. გარდაცვლილის ოჯახი დარწმუნებულია, რომ ტყეშელაშვილის მკვლელობა დაგეგმილი იყო და მისმა მკურნალმა ექიმმა, სხვა ექიმების დახმარებით, ის სასიკვდილო მდგომარეობამდე მიიყვანა. ნუ, ნაცლიდერებმა გაწეული სამსახურის დაფასება იცოდნენ, მაგრამ შურისძიებაზეც არ ფიქრობდნენ დიდხანს. რა და ვისთან „შეეშალა“ პროკურორს ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ინფორმაციის მატარებელი გახლდათ. ნაცლიდერებს, მკვდრები არ ლაპარაკობენო ხშირად უმეორებდა ნიკა. თუმცა, ყველა მაინც ვერ დახოცცეს და ნაწილმა ეხლა ამოიდგა ენა... სანამ მიხეილი პოლიტიკურ კაბადონზე გაიბრწყინებდა ძმებ რურუებს ჯაბა მფარველობდა, ჯაბას- მოსკოვიდან გურამი მგელაძე, შემდეგ იგორ გიორგაძე. ვინ იცის რამდენი მფარველი ყავდათ, მაგრამ ყველა მფარველის გზა მაინც კრემლთან მიდიოდა. ეხლაც არ აკლია ჟორიკა რურუას მფარველ დამცველები, მაგრამ ძაან უგულოდ, უმარილოდ გამოსდით დაცვა... საქართველოში გერმანიის ელჩის, ჰუბერტ ქნირშმის განცხადებამ, რომ „ბატონი რურუა არ არის ნახსენები 8 მარტის შეთანხმებაში, ეს არის ძალიან მკაფიო და ყველას შეუძლია ამის წაკითხვა, გაკვირვებული ვარ, რომ ეს პარტიებს შორის განხილვის საკითხია“ ცივი წყალი გადაასხა და ააბობოქრა ოპოზიცია. კრიმინალი, სადისტი მკვლელი ლიდერი, ტყვეობაში ყავთ. სოციალურ ქსელში პირდაპირ მოუწოდებენ სამართალდამცავებს გამოიძიონ ჟორიკას მიერ ჩადენილი შემზარავი მკვლელობები. ოპოზიციის წევრებმა იმის ნაცვლად, რომ სინანული გამოთქვან ჟორიკას მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაზე, მოკლული „მოწინააღმდეგეების“ ოჯახების პირწმინდად ძარცვა ყაჩაღობაზე, ხელისუფლებას ლანძღავენ და აბრალებენ თითქოს მათი დაკვეთით შეუტიეს დაზარალებულებმა. იმასაც არ ფიქრობენ რამდენი წელი გაატარეს შიშით, ტერორით, სამართლიანი შურისძიების წყურვილით ჟორიკას მიერ დახოცილი ხალხის ოჯახის წევრებმა. ურთულესია მოუსმინო და დაწერო მათი ათეულობით წლების განცდები. დიახ, ისინი მზად არიან ნებისმიერ ფასად აიძულონ ხელისუფლება პასუხი აგებიონ პირსისხლიან მკვლელს... “ სადაც სული წმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ, იმ წუთში მგელი ჩასახლდება, მერე ეს მგელი ცდილობს საზოგადოებას კრავად მოაჩვენოს თავი. მგლებს ხომ კანონები უყვართ, ჰოდა ეს „კრავიც“ კანონებს ეფარება, კანონების ციხესიმაგრეში ცხოვრობს. ცხოვრებას შეჭიდებულ კაცს კი სადაც ფეხი დაუცდება იქ წამოეწევა ხოლმე და იმ კანონის ძალით სისხლს გამოსწოვს.“ ეს ბრძნული სიტყვები გოდერძი ჩოხელს ეკუთვნის. კანონებს შეფარებული მგლები ერთობ მოუმრავლდა ჩვენს ქვეყანას და გააფრთებულები ცდილობენ ოთხმოცდაათიან წლებში დაგვაბრუნონ... საზოგადოების დიდი ნაწილი სოციალურ ქსელში აგრესიას არ მალავს რურუას დამცველების მიმართ. აი, რას წერს ერთ-ერთი მომხმარებელი- „გულწრფელად მინდა ვკითხო ნაციონალური მოძრაობის იმ მხარდამჭერებს, ვინც თავს ეროვნულ მოძრაობასთან აკავშირებს, ვინც თავის დროზე ზვიადისტობდა და ებრძოდა შევარდნაძესა და მხედრიონს. გავიგეთ, რომ არ გინდათ ბევრ რამეს თვალი გაუსწოროთ, ციხის კადრები დადგმული გგონიათ, მიშა – დავით აღმაშენებელი, ყველაზე დიდი ქველმოქმედი კი გეზიზღებათ და გძულთ. დავუშვათ რომ ეგ სადაო საკითხებია და ყველას ერთი აზრი ვერ ექნება, მაგრამ აი ჟორიკა რურუა რომ სისხლისმსმელი მკვლელია, ეს ხომ ფაქტია? 20–25 წლის წინ სადმე რომ გადაყროდით, ხომ დაუფიქრებლად გამოგჭრიდათ ყელს თქვენი შეხედულებების გამო? რა უნდოდა ზვიადის ჯერ გროზნოში და მერე რატომ აღმოჩნდა ხიბულაში? ვინ სდევნიდა მას, შემთხვევით ჟორიკა და მისი თანამოაზრეები ხომ არა? არ გედავებით იმაზე თუ როგორ შეიძლება მისტიროდე ეროვნულ მოძრაობას და ამავდროულად იყო ნაცი, დავივიწყოთ ეგ რამოდენიმე წუთით, მე გეკითხებით, როგორ შეიძლება იყო ზვიადისტი და იცავდე ჟორიკა რურუას?“ ნორმალურ ქვეყანაში, ჟორიკას პოლიტიკური დასამარებისთვის თამარ თორაძის ოჯახის შვიდი წევრის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობაც საკმარისი იქნებოდა, მკვლელობა რომელიც რურუებმა თავის ტურების ხროვასთან ერთად ჩაიდინეს და მადა გახსნილებმა ათეულობით მოწინააღმდეგე მოწმეებთან ერთად სამუდამოდ დაადუმეს. ნაცნობი და უცნობი მოკლულების სია საკმაოდ ვრცელია. ოთხმოცდაათიან წლებში ნაყაჩაღარ ქონებას ვარდოსნების „ეპოქაში“ წაგლეჯილი ქონებაც მსუყედ მიუმატეს და ეხლა უტიფრად ცდილობენ იმ მილიონებით ოთხმოცდაათიან წლებში დააბრუნონ ქვეყანა. სამწუხაროდ მათ დასავლელი „პარტნიორებიც“ ეხმარებიან და უსტარებს არ იშურებენ ხელისუფლების დასამუნათებლად. რაც საზოგადოების დიდი ნაწილის სამართლიან პროტესტს და ევროპის და ამერიკელი მაღალჩინოსნების მიმართ უნდობლობას იწვევს. დროული გახლდათ პრეზიდენტ გამსახურდიას შვილის, გიორგი გამსახურდიას წერილი რომელიც ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტს, დონალდ ტუსკს ტვიტერზე გაუგზავნა. „ბატონო დონალდ, საკმარისია გადახედოთ 90-იანი წლების საქართველოს შესახებ დასკვნებს, რომლებიც შემუშავებულია ისეთი წონიანი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა **UNHRC, USHR** და შეგექმნებათ წარმოდგენა, თუ რა მოხდა საქართველოში, რა წვლილი მიუძღვნის „მხედრიონსა“ და სხვა პუტჩისტურ ბანდებს საქართველოსა და მისი მოსახლეობის წინაშე. ზუსტად ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და წონიანი ფიგურა გახლავთ გიორგი (ჟორიკა) რურუა, რომელიც შევარდნაძისა და მისი ხუნტის მმართველობის პერიოდში, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების როგორც მონაწილე, ასევე შემოქმედი. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების არქივებში, მოწმეთა ჩვენებებში, უხვად მოიპოვება მისი „კარიერის“ შესახებ ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მცირედს მოიცავს მისი ნამოქმედარიდან. ეს მწირი ინფორმაცია სწორედ იმისი დამსახურებაა, რომ ბედის უკუღმართობით, მისი ძმა, ასევე კრიმინალი ნ. რურუა 2003–2012 წლებში სახელმწიფო თანამდებობას იკავებდა. მისი ხელშეწყობით განადგურდა არაერთი მტკიცებულება და ასევე განადგურდნენ ამ ყველაფერზე მომუშავე საკმაოდ მაღალი თანამდებობის მქონე სამართალდამცავები. აქვე მინდა გითხრათ, არსებობს უტყუარი ვარაუდი, რომ რუსული სპეცსამსახურების, რურუასა და მისნაირი ბანდების ხელშეწყობით განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზება და სისრულეში მოყვანა. ბატონო დონალდ, მე, როგორც პოლიციის ატაშემ პოლონეთის რესპუბლიკაში, როგორც პოლონეთის ერთ-ერთმა გულმხურვალე მოყვარულმა და მეგობარმა, ასევე როგორც მამაჩემის შვილმა, რომელმაც ოჯახთან ერთად გადაიტანა ამ ბანდების პარპაში, დევნა და შევიწროება, თავი ვალდებულად ჩავთვალე მომეწოდებინა თქვენთვის ეს მცირე ინფორმაცია, სამწუხაროდ თქვენ მიერ შეცდომით „პოლიტიკურ პატიმრად“ მიჩნეული გიორგი რურუასა და მისი საქმიანობის შესახებ. **P.S.** გიგზავნით მხედრიონის ლიდერის, ჯაბა იოსელიანის წიგნს, რომელსაც ჰქვია სამი განზომილება. დროის უქონლობის გამო ვერ მოვახერხე თარგმნა, მაგრამ იმედია, გიორგი რურუას დამცველები მოგეხმარებიან მის თარგმნაში: ბევრმა შეიძლება საკუთარი თავიც კი იპოვოს ამ წიგნის ფურცლებზე“.





**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# აქა ამბავი ნოდარიკო მელაძის მელაძეობის, „ბიზნესმენ“ ბახიას გაიძვერობის და „ტელევიზიონშიკ“ „ჭუტას“ ბანდიტობის შესახებ

- „საიდან და როგორ გახდა გოჩა ბახია ბიზნესმენი, რითი იშოვა ფული – ძარცვით?
- ზვიად გამსახურდია რომ გადააგდო, იარაღის შესაძენი ფული რომ გაიტაცა, იმით გახდა ბიზნესმენი?“
- „მე ვამტკიცებ, რომ ბახია გრუ-ს აგენტია და მის დავალებებს ასრულებს – ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ“



ბესო მიქავა

*არჩევნები ახლოვდება და უკვე გააქტიურ-და სადეზინფორმაციო, ცილისმწამებლური პოლიტიკური მანქანა, რომლის მესაჭეობას დროგამოშვებით ტვ „პირველი“ კისრულობს.*

*ამ ტელეკომპანიაში გადაფრენილმა ნოდარ მელაძემ ამასწინათ სიუჟეტი შემოგვთავაზა ე.წ. „შავი ნავთობის“ თემაზე. მათ, როგორც ყოველთვის, ახლაც დაიწყეს კუდების ძებნა ბიძინა ივანიშვილის ოჯახთან და მის ნათესა-ვებთან. მიზანი აქაც ერთია — წარმოაჩინონ ისე, თითქოს ქვეყანაში ყველაფერს „აფუჭებენ“ ივანიშვილები, ხოლო ქვეყნის გულშემატკივრე-ბი — მელაძეები და მისთანები მკერდით იცავენ სამშობლოს „მტაცებელი“ ივანიშვილებისგან.*

*ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა უკვე.*

*ყურიც მიეჩვია, როგორც ძველი პატეფო-ნის ნამღერს, მაგრამ სხვა სატელევიზიო სიუ-ჟეტებსა და ე.წ. ჟურნალისტურ გამოძიებებს რომ ამ წუთას თავი დავანებოთ და 2020 წლის 13 ივნისის მელაძის გადაცემას ყურადღებით ვუსმინოთ, ღმერთი, რჯული, თავს და ბოლოს ვერ გაარკვევთ. ვერ მიხვდებით, ვის, რატომ, რაში ადანაშაულებს მელაძე და მისი ჟურნა-ლისტი ამ გადაცემაში. სიუჟეტი ასეა აგებული — ჩვენ ვიტყვით და ტყუილია თუ მართალი, თქვენ არჩიეთო.*

*ამ სიუჟეტში კი ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ ფაქტების დამადასტურებლად ვინმე გოჩა ბახია მოჰყავთ. თუმცა ეს გოჩა ბახია ვერც ვერაფერს ამბობს დამაჯერებლად იმ ბრალდებებ-თან დაკავშირებით, რის დამტკიცებასაც ნოდარ მელაძე თვალგაფართოებული ცდილობს და ასავ-სავებს და ასავსავებს ხელებს კამერის წინ...*

*ამ გაურკვეველ შთაბეჭდილებებში მყოფს ეროვნული მოძრაობის ვეტერანი წარმომადგე-ნელი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი და მისი თანამებრძოლი, „იბერიულ-კავ-კასიური მოძრაობის“ ხელმძღვანელი ბესო მიქავა გვეწვია.*

**ბესო მიქავა:** „სხვას ყვე-ლაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ყველაზე მეტად აღმაშფოთა იმან, რომ გოჩა ბახია ტვ „პირ-ველმა“ ბიზნესმენად მონათლა. წარმოაჩინეს ისე, ვითომდა, ბიზ-ნესმენი გოჩა ბახია „ამხელდა“ სხვის შავ ბიზნესს. მხილება კარგია, საჭიროა, თუ სწორად ამხელ, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვის საქმეს რომ განაქიქებ,



ჯერ შენი თავი და წარსული უნდა გაიხსენო.

მე, ამჯერად, თავად ბახიას შესახებ მინდა გაიგოს საზოგადო-ებამ, რომელსაც ტვ „პირველი“ არც კი შეეკითხა, საიდან მოვიდა და როგორ გახდა ე.წ. ბიზნესმენი.

ბახია საქართველოს პოლიტი-კურ არენაზე 1992 წელს გამოჩნდა, წალენჯიხაში. მანამდე მასთან არა-ვითარი ურთიერთობა არ მქონია, თუმცა, როგორც წარმოშობით სოხუმელის შესახებ რაღაც-რა-ღაცები მსმენოდა...

იმ პერიოდში კანონიერი პრე-ზიდენტის მომხრეები სამეგრე-ლოში ვიყავით გამაგრებული. მაშინ გოჩა ბახია „ზვიადისტების“ ერთ-ერთი შტაბის უფროსი გახ-ლდათ. ასეთი შტაბები მრავლად იყო მაშინ სამეგრელოში. სამეგრე-ლოს გარკვეულ ნაწილში, როცა კანონიერი ხელისუფლება აღსდგა, ბახიას დავალებით, ხელისუფლე-ბის მომხრეებში, ნებაყოფლობით, ფულის აგროვება დაიწყეს იარა-ღის შეძენის მოტივით, პარტიზა-ნული მოძრაობისთვის. გარკვეუ-ლი თანხა, როგორც შევიტყვეთ, შეგროვდა, თუმცა, როგორც ვიცი, ეს ფული არავის უნახავს, ხოლო გოჩა ბახია სამეგრელოდან უკვა-ლოდ გაქრა“.

ჩვენ „იუთუბზე“ მივაკვლი-ეთ ზვიად გამსახურდიას პირა-დი დაცვის უფროსის **რობიზონ მარგველანის** ვიდეოჩანაწერს, რომელიც 2018 წლის 7 ივნისით თარიღდება და გოჩა ბახიაზე სა-უბრობს.

**რობიზონ მარგველანი:** „გროზნოდან იარაღი რომ უნდა ჩამოგვეტანა, ვითომ ეს იარაღი გოჩა ბახიამ ჩამოიტანა. თუმცა ბახიას იარაღი არ ჩაუტანია, მაგ-რამ მან იცოდა, რომ იქ იარაღი უნდა ჩაგვეტანა, მაგრამ ზვიად ოშხერელი გაგზავნა გოჩა ბახიამ და უთხრა: თქვი, რომ შენ გოჩა ბახია ხარო. ჩაფრენილი არ იყო „ვერტალიოტი“, რომ უკვე გაყი-დული იყო ის და მე ეჭვი არ მეპა-რება, რომ დიდი წილი მიუძღვის ამაში გოჩა ბახიას.

იგორ გიორგაძე ხელმძღვა-ნელობდა ამ ოპერაციას. ტყეში დაიჭირა გველი, აიღო დანა, თავი მოაჭრა გველს და თქვა: ასე უნდა მოვაჭრა თავი **ზვიად გამსა-ხურდიას**ო და დღეს რეკლამა-ში მესმის, რომ, გრიგოლიასთან გადაცემაში, თურმე ვინ ესროლა პირველმა პრეზიდენტს, რომ ამაზე თურმე პასუხს გასცემენ კიტოვა-ნი და გიორგაძე. წარმოიდგინეთ, ეს ყველა საზღვარს სცილდება და ყველა მორალს...

ამიტომ ქობალია რომ ამბობს, ედვარდს შევხვდიო, ედვარდს მარ-თლა შეხვდა ქობალია, მე მგონი, ანაკლიაში. ედვარდის (შევარდნაძე — რედ.) შეხვედრის შემდეგ ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, ქობალიამ კი რემონტები დაიწყო და პრეზიდენ-ტი სახლიდან გამოაძევა. მერე მე მთხოვა ზვიადმა და ჩემს ნათესავ-თან, ცოლის დის შვილთან, მაია ჭკადუასთან, მის ოჯახში ვიყავით ერთი კვირა შეფარებული. გოჩა ბახია თბილისიდან გასვლის დროს უნდა გაგვძღოლოდა წინ, მაგრამ გაგვექცა და მიგვატოვა. დასავ-ლეთის მაგივრად აღმოსავლეთში იმიტომაც წავედით. მერე ბახიამ სოხუმში გივი ქობალიას, როგორც თვითონ ამბობენ, პალტო ჩააცვა და სტალინის დაჩაზე დასვა, რომ, ვითომ, ზვიად გამსახურდია სოხუმ-ში იყო. ეს არავის სჭირდებოდა გოჩა ბახიას გარდა, იმიტომ რომ, გოჩა ბახიამ იცოდა, პრეზიდენტს ბეჭედი დარჩა საქართველოში და ის ბეჭედი უნდა წაეღო მის მდივანს ლალი მაისურაძეს და **ლალი მაი-სურაძე** რომ სოხუმში ჩავიდა და მიდიოდა გროზნოსკენ, დაიჭირეს, აიყვანეს დაჩაზე, ვითომ პრეზიდენ-ტი არის იქო, წაართვეს ბეჭედი, თვითონ დააპატიმრეს და გაუშვეს წინა ხაზზე.

ფული შეაგროვეს სოხუმ-ში 400000-მდე და გოჩა ბახიამ მითხრა: პრეზიდენტი გიბარებს გროზნოშიო. წავედით. ეს ფული მოგვცეს, ორი დიდი „სუმკა“ იყო. ჩავიტანეთ გროზნოში პრეზიდენტ-თან, მაგრამ ეს ფული დავტოვეთ პრეზიდენტთან და გოჩა ბახიამ ეს ფული გამოსტყუა პრეზიდენტს, ვითომ როსტოვში იარაღი უნდა ვიყიდოო და როგორც თქვენ არ მიგიტანიათ პრეზიდენტისთვის როსტოვში ნაყიდი იარაღი, ისე გოჩა ბახიამ ეს ფული გაატანა თავის მოსაწევს თუ „გასაჩხერს“...

ასე აართვა ის 400000 პრეზი-დენტს გოჩა ბახიამ.

მერე გაიტაცა გოჩა ბახიამ ბატონი **რომან გვენცაძე**, კანონი-ერი ხელისუფლების შს მინისტრის მოადგილე, ზვიადის დანიშნული, რომელიც სტუმრად იყო ჩასული მოლაპარაკებაზე სამეგრელოში და საღამოს, ვახშამზე, ადგილობრი-ვებს უთხრა, ზვიადის დავალებააო და გაიტაცეს სოხუმის მიმართუ-ლებით და იქიდან დაიწყო სოხუმის ომი. საბაბად ეს დაედო. ეს ყველამ იცის და ეს მაშინ ასე იყო ნათქვამი.

რომან გვენცაძე გათავისუფლე-ბული იყო, გაგანია ომი მიდიოდა სოხუმში და თბილისიდან, ბანკიდან 5 მლნ. ფული გამოიტანეს, დატ-ვირთეს „ვერტალიოტი“ და ჩაი-ტანეს სოხუმში, ვითომ გვენცაძის გამოსასყიდად. ვინც ჩაიტანა ეს ფული, იმ ადამიანს „ვერტალიო-ტი“ წაართვეს და ეს (გოჩა ბახია — რედ.) თვითმფრინავით გამო-უშვეს თბილისში. ამდენი სიბინძუ-რის მერე გოჩა ბახიამ კიდევ ერთი რეისი იარაღი, რომელიც მე უნდა წამეღო სვანეთში, იქიდან სამეგ-რელოში, მაგრამ ჩემი ვერტმფრე-ნის პილოტებმა უარი მითხრეს. მე მაინც გადავფრინდი სვანეთში, „ვერტალიოტით“, რომელიც დაქი-რავებული მქონდა, იარაღი რომ გადამეტანა. ეს რომ გაიგო ჯოხარ დუდაევმა, გოჩა ბახიას ჩაუტვირთა „ვერტალიოტში“ იარაღი და ჩაფ-რინდა სოხუმში. იქ ტყეში ჩამო-ცალა იარაღი (ბახიამ — რედ.) და თვითონ გაიქცა. ეს იარაღი მერე




გოჩა ბახია | ბიზნესმენი

გადაარჩინეს ჩემი დედულეთის ბიჭებმა, ჯაჭვლიანებმა.

ასე რომ, გოჩა ბახია სადაც იყო ჩარეული, იქ ყველგან ქაოსი იყო და ყველა საქმე იყო ჩაშვებული. ბოლოს ყელზე ამოუვიდა ზვიადს და გოჩა ბახია გააძევა გროზნოდან".

**ბესო მიქავა**: „ამის მერე გოჩა ბახია ჩადის მოსკოვში და ცხოვრობს ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლთან ზაზა გაბედავასთან. მას თავი ზვიად გამსახურდიას ერთგულად წარუდგინა და მერე, წლების შემდეგ, როცა ზაზა გაბედავა გავიცანი, უკმაყოფილებაც კი მომივიდა მასთან, რადგან **ზაზა გაბედავა** იცავდა გოჩა ბახიას მაშინ, როცა მე ყველაფერი ვიცოდი ბახიას შესახებ.

მოსკოვიდან ბახია წავიდა ფინეთში, სადაც წამოიწყო ე.წ. ტრაქტორების ბიზნესი, შექმნა ასევე საიტი, სადაც ტრაქტორების ბიზნესის რეკლამებს აკეთებდა და არ გაჰყოლია ეროვნული მოძრაობის გზას, როგორც თავის თავს წარმოაჩენს მაშინ, როცა ეს სჭირდება.

მინდა საზოგადოებამ გაიგოს, თავად ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მოხდა მისი დაცვაში მიღება ჩემს მიერ. ბახიას რომ ჰკითხოთ, ჩემზე ამბობს, ბესო მიქავა გამსახურდიას დაცვაში არ ყოფილაო. არადა, ვიდეოები და სურათები არსებობს, სადაც მე ვარ დაფიქსირებული შეიარაღებით, ზვიადის გვერდით, არაერთხელ და საბუთებიც მაქვს ამის დასადასტურებლად.

როცა ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა 1993 წელს, გოჩა ბახია არ იყო საქართველოში. სამეგრელოში ზვიადს ყველა ესტუმრა ეროვნული მოძრაობიდან, საქართველოს ყველა კუთხიდან. გოჩა ბახია არსად ჩანდა. მას უკვე ფულიც წაღებული ჰქონდა, იარაღიც მოპარული და გაქცეულიც იყო.

მე საქართველოში ზვიადს ყველგან ვახლდი. ერთხელაც ხობში იყო შეხვედრა. მოვიდა გოჩა ბახიას მამა, უპატიოსნესი და კარგი კაცი. მან უთხრა ზვიად გამსახურდიას: მე გოჩა ბახიას მამა ვარო. ზვიადმა უპასუხა: შენ კარგი კაცი ხარ, მაგრამ შენი შვილი მოღალატეა, მან მე მიღალატაო. სიტყვა-სიტყვით გეუბნებით, რაც თქვა ზვიადმა. სურათიც გადაუღია ვიღაცას და ეს მომენტი ფოტოზეცაა აღბეჭდილი — ბატონი ზვიადი, მე და გოჩა ბახიას მამა რომ ვართ ხობში ერთად. ამის მერე გოჩა ბახია ყველას თვალში მოღალატედ შეირაცხა, თუმცა ისედაც არ ჰქონდა უკვე ავტორიტეტი ეროვნულებში.

გავიდა დრო და უკრაინაში საომარი კონფლიქტი გაჩაღდა, **პოროშენკოა** უკრაინის მმართველი. იმ ხანებში გავრცელდა რუსეთის ტელევიზიით, საქართველოს I არხით და სხვა ტელევიზიებით, რომ ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი გოჩა ბახია აგროვებს ხალხს უკრაინაში საბრძოლველად პოროშენკოს დასახმარებლადო. მე რუსეთიდანაც დამიკავშირდნენ მაშინ და მკითხეს: მართალია თუ არა ეს ამბავი, რომ გამსახურდიას დაცვის უფროსი ხალხს აგროვებსო? მე განვუმარტე მათ, რომ ბახია არავითარი დაცვის უფროსი არ იყო და მეტიც, ის მოღალატე იყო და ზვიად გამსახურდიას სახელთან მას საერთო არაფერი ჰქონდა.

იმ ხანებში **კოკო გამსახურდიაც** გამოვიდა და თქვა, რომ არანაირი „ზვიადისტები" არ აპირებენ საბრძოლველად წასვლას უკრაინაში.

ასეც რომ ყოფილიყო, ზვიად გამსახურდია რომ ჩამოვიდა 1992 წელს ზუგდიდში, ბახია დაიმალა, მოსკოვში გაიქცა და ახლა აგროვებდა ზვიადის ერთგული ადამიანების ჯარს პოროშენკოსთვის? მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას ერთხელ და საბოლოოდ: გოჩა ბახია გახლავთ გრუ-ს აგენტი, რომელსაც დავალება აქვს — წაიბილწოს ზვიად გამსახურდიას სახელი და მიაკერონ მას ტერორიოსტების დაჯგუფების მეთაურის იარლიყი. გოჩა ბახიას მთელი ცხოვრება მიმართული არის ზვიად გამსახურდიას სახელის სადისკრედიტაციოდ.

სოხუმური კლანის „გრუ-შნიკების" წევრია ბახია, დღევანდელი პროკურატურის, ფინანსური პოლიციის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად, ჩემზე თავდასხმის ჩათვლით, რომელიც **მერაბ ფურცელიანმა** მოაწყო, სოხუმური კლანის წარმომადგენლების გაკეთებული იყო.

ბახია მებრძვის პირადად მე, რადგან მე ვარ იმის მოწმე, ზვიად გამსახურდიამ რომ თქვა: ბახია მოღალატეაო.

საგულისხმოა ის, რომ ტელესიუჟეტში, რატომღაც, არ ახსენეს ბახიას ე.წ. „ზვიადისტობა". ის ბიზნესმენად წარმოგვიდგინეს, მაგრამ საიდან და როგორ გახდა ბიზნესმენი გოჩა ბახია, რითი იშოვა ფული — ძარცვით? ზვიად გამსახურდია რომ გადააგდო, იარაღის ფული რომ გაიტაცა, იმით გახდა ბიზნესმენი? აბა, საიდან იშოვა მეომარმა კაცმა ფული, ფინეთში ტრაქტორების ბიზნესი რომ შექმნა, მერე საქართველოში ვითომ ნავთობის ბიზნესს რომ მიჰყო ხელი — საიდან?

მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებასაც.

დღეს ვის ებრძვის „ნაცმოძრაობა"? — ეროვნულ ცნობიერებას, ეკლესიას და პატიოსან ბიზნესს.

გოჩა ბახია ამ სიუჟეტში დაუპირისპირდა ეკლესიას — ახსენა ეპისკოპოსები, მაგრამ კონკრეტული სახელები და გვარები არ დაუსახელებია. თავი რომ დიდ მორწმუნედ მოაქვს, სულიერი მოძღვარი მყავსო, ასე და ისეო, ეპისკოპოსებს რომ ახსენებს და სახელებს არ ამბობს, მთელ ეკლესიას რომ აყენებს ეჭვქვეშ? მაგრამ ეს არის პირადად ტვ „პირველის" მიერ დაწყებული არმენული ლობის დაფინანსებული ტელევიზიის კამპანიის ნაწილი, „ნაცმოძრაობის" სანუკვარი მიზნის განსახორციელებლად, საქართველოს ეკლესიის და ეროვნული მოძრაობის და მთლიანად საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული შტურმი, რაშიც გოჩა ბახიაც გაერია. ტვ „პირველის" მფლობელი **ვახტანგ („ჭუტა") წერეთელი** კი, როგორც ამბობენ, წარმოშობით გახლავთ არმენი.






## ვინ არის „ჭუტა" წერეთელი და რას ემსახურება მისი ბიზნესი

„ჭუტა" წერეთლის ბიზნესის საეჭვო წარმომავლობაზე ის ადამიანები საუბრობენ, რომლებსაც წერეთელმა როგორც ფული, ასევე ბიზნესები „აახია".

ვახტანგ (ჭუტა) წერეთელი „აჭარა-ბეთ-ში" არაოფიციალურად ფლობს წილებს, თუმცა მას ბოლო წლებში პრობლემები შეექმნა ბიზნესმოწილე თემურ უგულავასთან.

ამ პრობლემების პარალელურად წერეთელმა დაუთმო თემურ უგულავას შპს „ინვესტის" 50% ერთ მილიონ აშშ დოლარად, ვინმე თენგიზ ფერაძის სასარგებლოდ, რომელიც ნათესაურ კავშირშია თემურ უგულავასთანაც და ვახტანგ წერეთელთან და თავისთავად ცხადია, მის ვაჟთან **ავთანდილ წერეთელთანაც**, რომელსაც ახლობლები ასევე „ჭუტად" მოიხსენიებენ.

ქართული საინფორმაციო საშუალებები ცოტა ხნის წინათ იუწყებოდნენ, რომ „აჭარა-ბეთი", რომელიც შპს „გემბლინგ ჰოლის" სავაჭრო ნიშანია, მთლიანად ეკუთვნოდა, ოფიციალურად, თენგიზ ფერაძეს, რომელსაც გადაუხადა სწორედ თემურ უგულავამ 3 მლნ დოლარი.

„ს ინვესტისა" და „ს გემბლინგ ჰოლის" წილების ნასყიდობის ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ გარიგების თანხა 4 მლნ. დოლარიდან 1 მლნ. დოლარი ვახტანგ წერეთელს გადაეცა, 3 მლნ.; კი კომპანიის ოფიციალურ მფლობელს **თენგიზ ფერაძეს**.

როგორც აღმოჩნდა. ამიტომ იყო, რომ, თურმე 2008 წლის აგვისტოში, ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში, „ჭუტა" წერეთელს თავის ოფისში დაუბარებია მინდია ქაშიბაძე და უკვე კონკრეტულად მოუთხოვია: ან დათმობ შენს წილს მთლიანად, ან უარესებს ელოდეო.

**ბესო მიქავა**: „გარკვეული ხნის წინ მე ვუყურე ერთ-ერთ ტელეარხზე გადაცემას, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ „გადააგდო" ე.წ. ბიზნესმენმა, სინამდვილეში კი ყაჩაღმა და მოროდიორმა წერეთელმა, ბიზნეს-საქმიანობაში არაბი ბიზნესმენი, ქალბატონი **მუნა პირიანი**. ქალბატონმა პირიანმა 12 მილიონი დოლარი დადო თამბაქოს ქარხანა „პირველის" ასაშენებლად და ბიზნესის გასამართად. როცა საქმე უკვე წელში გაიმართა, თბილისში ჩამოსულ ქალბატონ პირიანს დაახვედრეს პოლიცია, არ შეუშვეს ქარხნის ტერიტორიაზე და წარუდგინეს ყალბი დოკუმენტაცია, თითქოს მას წერეთელმა 12 მლნ უკან დაუბრუნა და განუცხადეს: აქ არაფერი გესაქმებათ, სხვისი ბიზნესტერიტორიააო.

ავთანდილ („ჭუტა") წერეთელი არაერთი კომპანიის მეწილეა. მათ შორის, კაზინო „აჭარა-ბეთის", სხვადასხვა სავაჭრო ფართების, საფეხბურთო კლუბ „ივერიის", ბელგიური შოკოლადის მაღაზია „რიზალი სიმბარის", არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანია „პირველის", გამომცემლობა „საარის", ტურისტული კომპანია „ნაითოფის-თრეველის", ბიზნეს-ცენტრ „მწვანე ოფისის", საგადასახადო საკონსულტაციო სამსახურ „ბი-სი-ბი"-ს, სარეკლამო კომპანია „იბერია სტარს პროდაქშენის" და ა. შ.

უფროსმა წერეთელმა ერთხელ თქვა: პენსიით ვცხოვრობო. თუმცა ისიც დასძინა, მამუკა ხაზარაძეს 17 მლნ. დოლარი მე ვასესხეო. მისი ინტერვიუ ამ საკითხზე შენახული მაქვს და დაინტერესებულ ადამიანებს ყველა დოკუმენტაციას წარვუდგენ, რომლებიც ჩემს ყველა სიტყვას დაადასტურებს.

ქსენოფობიას ნუ დამაბრალებთ, მე პატივს ვცემ ყველა ეროვნებას, მაგრამ საქართველოს მტრებს ყველას ვამხელ და ვააშკარავებ, ვინც უნდა იყოს ის — ქართველი თუ არაქართველი, მაგრამ, ამჯერად, კვლავ არმენებზე მაქვს საუბარი: არმენმა „ჭუტამ" 17 მლნ. ასესხა **ხაზარაძეს** და ჩვენ, ქართველებს გვაცოდებენ თავს.

გოჩა ბახია, რომლის ეროვნული წარმომავლობაც, ასევე, ცნობილია, გვერდით უდგას „თავის" ხალხს, მას მართავენ ის ძალები, რომლებიც საქართველოს საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

„ჭუტას" „მყარი ზურგი" ჰქონდა, რადგან გვერდში ედგნენ ნაცრეჟიმის ცნობილი ჯალათები — „მასტერა", მეგის ქარდავა და სხვებიც

არმენებმა საქართველოში მოიხვეჭეს დიდძალი ფული და ცდილობენ დაეპატრონონ ქვეყანას, ეკლესიას, ჩვენს მართლმადიდებლურ ტრადიციებს და ფასეულობებს.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არც **ილია მეორისაა**, არც ჩემი და არც თქვენი, ეს არის

12 გვ. →

11 გვ.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.

სიუჟეტში გოჩა ბახია რომ ამბობს: შეხვედრა საპატრიარქოში შედგა, „ნავთობის შავ საქმეში“ ეპისკოპოსებიც არიან ჩარეულიო, ამით მან ყველა ეპისკოპოსი გასვარა, რადგან კრებითად მოიხსენია ისინი და სახელები არ უთქვამს.

ეს ბახია ახლა რომ ბიზნესმენის სახელს იჩემებს, გაბედავასთან რომ ცხოვრობდა მოსკოვში, გაბედავას კმაყოფაზე რომ იყო, თურმე ეროვნული მოძრაობის ფული გადამალული ჰქონდა, ეს მერე გაირკვა, როცა მოსკოვიდან, სავარაუდოდ, გრუ-ს დავალებით, ფინეთში გადავიდა და იქ, ვითომ, ტრაქტორების ბიზნესი წამოიწყო“.

*გავიდა დრო და, როგორც ამბობენ, **სააკაშვილის** ბრძანებით, გოჩა ბახია ფოთში არეულობის მოწყობას გეგმავს. ამის შესახებ ვრცლად იუწყებოდნენ საინფორმაციო საშუალებები. მას მხარდაჭერას უცხადებდა გაზეთი „ქრონიკა+“, რომლის ფურცლებიდანაც დაიწყო ხელისუფლების წინააღმდეგ დარტყმები გოჩა ბახიამ.*

### ბახია თუ „ბახა-ბახა“?!

**ბესო მიქავა:** „ეს ყაჩაღი და გამომძალველი გოჩა ბახია იმ ადამიანების გვერდით დგას, რომელთათვისაც არაფერს ნიშნავს ადამიანობა, ქართველობა, სარწმუნიება, ეკლესიის ავტორიტეტი და საკუთრად, სამშობლო — სახელმწიფო.

ტვ „პირველის“ იმ სიუჟეტს რომ ვუყურე, ჩემთვის თვალნათელი გახდა ყველა ის მიმართულება და სამიზნე, რაც აქვს ტვ „პირველს“.

ბახია დღემდე აგრძელებს მავნებლურ საქმიანობას, რაც ყოველთვის ახასიათებდა მას.

მე ვამტკიცებ, რომ გოჩა ბახია გრუ-ს აგენტია და მის დავალებებს ასრულებს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ის გახლავთ პირწავარდნილი მიშისტი და მკვლელი ნაციონალების მხარდამჭერი.

მეტი მტკიცებულება რად გინდათ, ზვიად გამსახურდიამ ის მოღალატედ გამოაცხადა. ახლაც ებრძვის ჩვენს სახელმწიფოს გრუ-ს და სააკაშვილის დავალებით.

გოჩა ბახია, სულ ცოტა ხნის წინ საფინანსო მაქინაციების გამო დაპატიმრებული, გათავისუფლდა. რა გამოდის, „ქართულმა ოცნებამ“ ის გაათავისუფლა და უთხრა: გამოდი და ჩემს წინააღმდეგ იმოქმედეო? ეს ხომ აბსურდია?

საქმე კი იმაშია, რომ „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაცების ჯგუფები, რომლებიც, როგორც წურბელები, ისე არიან მიწებებული მმართველობას. ეს მოღალატე ჯგუფები აგრძელებენ შიგნიდან ხვრას და ნგრევას ხელისუფლების და სახელმწიფოსი. ცნობილია, რომ ციხე შიგნიდან ტყდება.

მოდი, ლოგიკურად ვიმსჯელოთ: ფინანსური მაქინაციების გამო დაპატიმრებული, დაახლოებით, 50 კაციდან, ათავისუფლებენ მხოლოდ გოჩა ბახიას.ე.ი. პროკურატურაში და სასამართლო სტრუქტურებში არიან ადამიანები, რომლებიც მფარველობენ და იყენებენ მას?!

სიუჟეტში არ ჩანს, საერთოდ, ვის ამხელს, რატომ და რა დანაშაულისთვის. გადაცემაში ეს არ ყოფილა დამტკიცებული, მხოლოდ გაიჟღერა **ივანიშვილების** გვარმა, „ვარდისფერი სპილოს“ სახით, ანუ მე ვიტყვი და თავი სხვამ იმართლოსო.

ბახიას მთელი ცხოვრება ისე აქვს ნაცხოვრები, როგორც იუდა ისკარიოტელს. დიდი ცოდვებით მოვიდა აქამდე და ახლა პატიოსანი სახით ბიზნესმენობას იბრალებს.

„ღალატით ნაშოვნი „30 ვერცხლით“ გამძღარი ახლა ცდილობს ქვეყანაში სიტუაციის არევით და დესტაბილიზაციაში მონაწილეობით გამოიჩინოს თავი.

ტრაქტორების შემომყვანი ბიზნესმენი უცებ ნავთობის მსხვილ რეალიზატორად როგორ იქცა?!

ეს არის ბლეფი, ხალხის მოსატყუებლად გადმოგდებული ინფორმაცია. მას მსგავს საქმიანობაში მონაწილეობა არ ჰქონია.

კომპანიამ, რომელთანაც ის თანამშრომლობდა ფინეთში და უწევდა რეკლამირებას გზების დამგებ და სარეაბილიტაციო ტექნიკას, შემდეგ ე.წ. „ბიტუმის“ ირანიდან რეალიზაციაზეც დაიწყო მოქმედებები, ამაშიც ჩაერთო ბახია, ხოლო ნავთობი აქ მიწებებული თემაა და ზღაპარია.

მე არც „ოცნებას“ ვიცავ, არც „ოცნების“ წარმომადგენლებს, მე ვამბობ სიმართლეს: გოჩა ბახიას, როცა უნდა ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსია, როცა უნდა, ემიგრანტია, როცა უნდა — ბიზნესმენი, სინამდვილეში კი არის ნაძირალა და მოღალატე“.

### დასკვნა

ფაქტი ერთია: მამა-შვილ წერეთლებს და მათ საეჭვო წარმომავლობის ბიზნესს გავლენიანი მფარველები ჰყავს, რადგან ეს საეჭვო ბიზნესი დღემდე ყვავის და გავლენებითაც სარგებლობს. ისევე გოჩა ბახიასაც, ის ადამიანები აფარებენ ხელს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ გავლენები და ახლა მიზანმიმართულად ცდილობენ სიბნელიდან სააშკარაოზე გამოსვლის და ლეგალური ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ძირი გამოუთხარონ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას.

დიახ, ყველაფერი სწორედ ამაზე მიუთითებს. ამას ადასტურებს ქვეყნის სიმშვიდის გარანტის — **ბიძინა ივანიშვილის** და მისი ნათესავების სახელის შებღალვის მცდელობა, რასაც პერმანენტულად, მიზანდასახულად და ჯიუტად, ახორციელებენ ის ძალები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას და ხალხს 9-წლიანი კოშმარი გამოატარეს.

რაც შეეხება ნოდარიკო მელაძეს, ის ჩვეულებრივი მეძავი-ჟურნალისტია, რომელიც სადაც ფულს იხდიან, იქ „იხდის“ და ნებისმიერს სიამოვნებით ნებდება, თუ აქედან რაიმე ხეირს გამოელის.

მართალია, ნოდარიკო გრძელ-გრძელ მონოლოგებს წარმოთქვამს ხოლმე ჟურნალისტურ პატიოსნებაზე, გამბედაობაზე და თავის თავს ხალხისთვის თავდადებულ უშიშარ რაინდად წარმოგვიჩენს, თუმცა, სინამდვილეში, ნოდარიკო ერთი ქოსატყუილა, უთავმოყვარეო და უსინდისო მონაა, რომელიც ყველაფერს იკადრებს, ოღონდ პატრონის და დამკვეთის სურვილი შეასრულოს.

ნოდარიკოს არაფრით ჯობიან მისი მეგობრები და კოლეგები „ფორმულადან“ და „მთავარი არხიდან“.

თუ ასეთი პატიოსნები და ვაჟკაცები ხართ, სხვებზე რომ ლაქლაქებთ, წადით და თქვენი პატრონების მილიონების წარმომავლობაზე ჩაატარეთ ჟურნალისტური გამოძიება, თორემ რა გამოდის, ყელამდე ფეკალიებში ზიხართ და სუფთები და უბიწოები ვართო, გაიძახით.

ისემც თქვენ რა გითხარით — თავიდან ბოლომდე ყარხართ, თქვე ბინძურებო...

**ანა ვადაჭკორია**





# ჭკვიანი შალვა

მას შემდეგ, რაც თავის ფანჩატურში ოპოზიციის წარმომადგენლებს სისტემატურად მასპინძლობს, აქამდე ცოტა ექსცენტრიკული შალვა ნათელაშვილი, ერთბაშად დაბრძენდა და ისეთ ჭკვიანურ იდეებს ისვრის, გაგიჟდება კაცი.

ბ-ნ შალვას მრავალრიცხოვანი ჭკვიანური იდეებიდან, ამჯერად, მხოლოდ ორს გამოვყოფთ.

ნათელაშვილი თხოვს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, ამერიკელებს — საქართველოს ტერიტორიაზე განათავსონ რაკეტები ატომური ქობინებით.

— ატომს ატომი უნდა დავუპირისპიროთ, მხოლოდ ასე შევაჩერებთ აგრესორ რუსეთოო, — ბრძანებს ჭკვიანი შალვა, თუმცა იმას არ აკონკრეტებს, სად დავდგათ ეს რაკეტები — მისი ოფისის ფანჩატურში, თუ ბაზალეთში მისი ფეშენებელური სასახლის ეზოში?

გაბედავს რამეს ეს ოკუპანტი რუსეთი? — გავუქანებთ ატომურ ბომბს! მართალია, ისიც გამოგვიქანებს და ჩვენგან არაფერი არ დარჩება, ის კი იმხელაა, ასი საქართველოს ხელა ტერიტორია მაინც გადარჩება, მაგრამ ეგ არაფერი...

შალვას მეორე ჭკვიანური იდეა არჩევნებს უკავშირდება.

ბ-ნი შალვა მოითხოვს, „ქართულ ოცნებას“ იმდენი დანაშაული აქვს, მოდი, საერთოდ ავუკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაო.

ჭკვიანი შალვა არ აზუსტებს, „ქართულ ოცნებას“ ისეთი რა დანაშაულები აქვს ჩადენილი, მგლის ბილეთით რომ უნდა მოვხსნათ არჩევნებიდან, მაგრამ დაზუსტება და დაკონკრეტება რად უნდა — „ქართული ოცნება“ თუ ჩავხსენით არჩევნებიდან, ბურთი და მოედანი შალვას, მიშას, გრიშას, გიგის, გიგას, „ოქროს“ დარჩებათ და ეგრევე მთელი „სასტავით“ შეგრიალდებიან საოცნებო პარლამენტში.

გეუბნებით, ძალიან დაჭკვიანდა ეს პატივცემული შალვა, ძალიან დაჭკვიანდა.

ხომ გახსოვთ, დაუნ ვი დიქტეიტე, დაუნ ვი დიქტეიტეო, რომ გაჰყვიროდა ერთ დროს თეთრი სახლის წინ.

— ნახეთ, ნახეთ, აი, ასეთი გიჟები მყავს ოპოზიციაში. ეს კიდევ სხვებზე უფრო ჭკვიანია. თქვენ სხვები უნდა ნახოთო, — ეუბნებოდა თურმე მიშა ამერიკელებს, ისინი კიდევ თავს მწუხარედ აქნევდნენ: — მართლა რა დღეში ყოფილხართ, თქვენ, მისტერ მიშა, თანაგრძნობას გიცხადებთ და თქვენს გვერდით ვდგავართ დემოკრატიისთვის ბრძოლაში.

ამბობენ მაგ დაუნ ვი დიქტეიტეში შალვამ მიშასგან სერიოზული მაყუთი აიღოო...

თავის მოსულელება და თავის მოგიჟიანება ფული ღირს, ძმაო, აბა, მუქთად ვინ შემოიხევს ტანსაცმელს?

საინტერესოა, ამ ბოლო ორ შემთხვევაში, ბ-ნი შალვა საკუთარი ინიციატივით, უჰონორაროდ დაჭკვიანდა ასე მწარედ, თუ ყოველივე ამაში ვიღაც ფულს უხდის?

ასეა თუ ასე, ისნელები, ეს ძირძველი თბილისელები, ძალიან არიან შეშფოთებულნი — რეებს ბოდავს, რას მიედ-მოედება, სულ ხომ არ გარეკა ამ ნათელაშვილმა? ამხელა ოპოზიციაში ერთი ნორმალური კაცი ვერ გამოიძებნა, რაღა ეს გიჟი მოგვიგდესო...

ბოლო სიტყვა ფსიქიატრებზეა — იქნებ სულაც არ არის გიჟი პატივცემული შალვა — იქნებ სიგიჟის სიმულაციით შოულობს კაცი პურის ფულს და აცადეთ, ნუ იცით ხოლმე წინასწარ დიაგნოზის დასმა...

**დავით ქავთარია**



# „თუ აშშ არ მოგვცემს იმას, რაც გვინდა და რასაც ვითხოვთ, გადავწვავთ...“

ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ სამყარო რადიკალურად შეიცვლებოდა. დიახ, შეიცვალა და მერე როგორ! პოლიტოლოგების შეფასებით, მსოფლიოში ახალი პოლიტიკური თამაშები დაიწყო. ამასთან, სამყარო პოლიტიკურად არასტაბილურ ფაზაშია, რაც კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

პოლიტიკური არასტაბილურობა, განსაკუთრებით ისეთ განვითარებულ და წამყვან ქვეყნებშია თვალშისაცემი, როგორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი... აქვე სათქმელია, რომ აშშ-ი დაწყებულმა მოძრაობამ „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ ევროპაშიც შეაღწია. თუმცა, თვალში საცემი გახდა, რომ ერთი თვის წინ რასიზმის წინააღმდეგ სპონტანურად დაწყებულმა ბრძოლამ სხვა დანიშნულება შეიძინა. შავკანიანი მოსახლეობის მოთხოვნები და ქმედებები უკიდურეს აგრესიაში გადაიზარდა. მოძრაობის აქტივისტების აზრით, ყველა თეთრკანიანი ადამიანი მათ წინაშე ვალშია. „...თუ ეს ქვეყა-



ნა (ანუ აშშ-ი) არ მოგვცემს იმას რაც გვინდა და რასაც ვითხოვთ, გადავწვავთ. როგორც გნებავთ ისე გაიგეთ — პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით“ — პირდაპირ ეთერში განუცხადა მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ ერთ-ერთმა აქტივისტმა თეთრკანიან ჟურნალისტს, რომელმაც ვერაფერი უპასუხა.

სხვების ხარჯზე პრივილეგიების მოპოვებას „ჰოლივუდის“ შავკანიანი მსახიობების ნაწილიც ცდილობს. მათი განცხადებით, კინოინდუსტრიაში ბევრი თეთრკანიანი მსახიობია, რომლებიც მათზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, ითხოვენ, რომ ნებისმიერი როლი შავკანიანმა მსახიობებმა შეასრულონ, მიუხედავად პერსონაჟისა. როგორი სანახავი იქნება თუნდაც შავი ფიფქია ეკრანზე, ძნელი სათქმელია.

განსაკუთრებულად შემაშფოთებელია რელიგიაზე შეტევა. დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული აქტივისტები იესო ქრისტეს სტატუების აღებასაც კი ითხოვენ — ჩვენ თეთრი ღმერთი არ გვჭირდებაო, აცხადებენ! აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განკარგულებით, ძეგლების და ისტორიის შეურაცხყოფა ახლა დასჯადია, მაგრამ პროტესტის მონაწილეები ამას არაფრად დაგიდევენ. მოძრაობის წევრები ებრძვიან აშშ-ს ყველა ისტორიულ პიროვნებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თეთრები იყვნენ და მათ ღვაწლს, თუნდაც შავკანიანების უფლებებისთვის ბრძოლაში უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ექსპერტები, ნახევრად ხუმრობით კითხულობენ, ვის პორტრეტებს გამოსახავენ დოლარებზე, თუ ყველა ყოფილი პრეზიდენტი შავკანიანებისთვის მიუღებელია. აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, მავანმა რომ გამოფინოს პლაკატი წარწერით: „ყველა ადამიანის სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ რასიზმში დაადანაშაულებენ.



აგორებულ შავკანიანთა მღელვარებაში, რომელიც ქაოსში გადაიზარდა და რთული სამართავი გახდა, ექსპერტები პოლიტიკოსების, კერძოდ დემოკრატიული პარტიის წევრების კვალს ხედავენ. პოლიტოლოგები კი უფრო მკაცრ შეფასებას აკეთებენ — მიაჩნიათ, რომ აშშ-ი პოლიტიკური ელიტა კრიზისშია, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად პარალიზებულია. მათივე განცხადებით, ვერ ხედავენ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც კრიზისულ ვითარებაში აიღებს პასუხისმგებლობას და შეძლებს ვითარების დარეგულირებას. ირონიულად აღნიშნავენ — აშშ-ი გარედან ელოდა საფრთხეს, მაგრამ ნგრევა, როგორც ჩანს ქვეყნის შიგნით დაიწყო.

მსოფლიოს პოლიტიკოსებისთვის შემაშფოთებელია, რომ აშშ-ი დამყარდა რამდენიმე ხელისუფლებიანობა. ისტორიულად ბევრ ქვეყანაში ყოფილა ორხელისუფლებიანობა, მაგრამ მსგავსი პირველი შემთხვევაა. ინაუგურაციის დღიდან, კონგრესის ქვედა პალატა, სადაც დემოკრატები არიან უმრავლესობაში, დონალდ ტრამპის ყველა წამოწყებას ბლოკავდა. ახლა უკვე ცალკეული შტატების გუბერნატორები უარს ამბობდნენ პრეზიდენტის მითითებების შესრულებაზე. თავდაცვის მინისტრი მარკ ესპერიც დაუპირისპირდა ტრამპს, რომელმაც უარი განაცხადა ფედერალური ჯარის გამოყენებაზე ცალკეულ შტატებში აგორებულ ძარცვა-რბევების აღსაკვეთად. სავარაუდოდ, არც სახელმწიფო დეპარტამენტში აქვს სრული მხარდაჭერა. დონალდ ტრამპის კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად, რამდენიმე ქვეყანაში აშშ-ის საელჩოების ტერიტორიებზე აღმართეს ლგბტ-ს დროშები. ეს მაშინ, როდესაც რადიკალურად განწყობილი ადამიანები აშშ-ი დემონსტრაციულად, მასობრივად წვავენ თავიანთი ქვეყნის დროშებს!

გასულ კვირას შავკანიანთა აქციის მონაწილეებმა ვაშინგტონში, თეთრი სახლის სიახლოვეს სცადეს მე-7 პრეზიდენტის ენდრიუ ჯონსონის ძეგლის დემონტაჟი. ჩანაფიქრი, მართალია ვერ განახორციელეს, მათ პოლიციელებმა შეუშალეს ხელი, მაგრამ წაბილწეს და დაარბიეს წმინდა იოანეს სახელობის ეკლესია, სადაც აშშ-ის პრეზიდენტები დადიან. თეთრი სახლის მახლობლად გაშალეს კარვები, ტერიტორია გადააქციეს „შავ ზონად“, სადაც ტრადიციულად პოლიციასაც არ უშვებდნენ. ყოველივე ამას დონალდ ტრამპი ფანჯრიდან ადევნებდა თვალს. ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა იხუმრეს — თეთრი სახლის წინ შავი სახლიც დაიდგაო.

თავისი ხასიათიდან გამომდინარე, დონალდ ტრამპი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. როდის მოსწყინდება ქაოსისადმი ლოიალური დამოკიდებულება და რას მოიმოქმედებს, უცნობია. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა — ყოველგვარი ვანდალიზმის აკრძალვაა. სასჯელი 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

დემოკრატები მიხვდნენ, რომ თავიანთი ლოიალობით მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ მიმართ ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანენ, ამიტომ დაიწყეს მათი დაშოშმინება.ე.წ. „სიეტლის კომუნა“ დაიშალა, რომელსაც დემოკრატი გუბერნატორი მფარველობდა. საერთოდაც, ნებისმიერი ქვეყნის ნგრევა პოლიციის, ძალოვანი სტრუქტურების დისკრეტიდაციით, ისტორიის გადაწერით და ფაქტების დამახინჯებით იწყება. მაგალითისთვის თუნდაც ჩვენი ქვეყანა გამოდგება. ვნახოთ რას მოიმოქმედებენ ამერიკელი პოლიტიკოსები. თუმცა, არსებული ქაოსის შეჩერება იოლი ნამდვილად არ იქნება.

საარჩევნო კამპანიის განახლება, სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, დონალდ ტრამპმა ოკლახომას შტატიდან დაიწყო. დარბაზში ბევრი ცარიელი ადგილი იყო, რამაც ტრამპი გაანაწყენა. ცარიელი ადგილების სიმრავლე, როგორც გაირკვა დემოკრატების დამსახურება იყო — მათ წინასწარ შეუკვეთეს შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები, რომლებიც შემდეგ არავის შეუძენია. დონალდ ტრამპმა შეკრებილებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. ერთობ საგულისხმო იყო სიტყვით გამოსვლისას მისი ერთ-ერთი წინადადება „... როდესაც დავაპირე და დავიწყე კიდეც ვაშინგტონის ჭაობის ამოშრობა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, მაგრამ შემდეგ კარგად დავინახე თუ რა ღრმა ყოფილა“. საკმაოდ ღრმა შინაარსიანი შეფასებაა იქაური საშინაო პოლიტიკის.



ვინ გაიმარჯვებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, „ძველი“ ტრამპი თუ ბებერი ბაიდენი? — რიტორიკულად კითხულობენ პოლიტოლოგები. ტრამპმა კვლავ დაიწყო იმის ახსნა ხალხისთვის, თუ როგორ უნდა გახადოს აშშ-ი კვლავ დიადი სახელმწიფო. მისივე პროგნოზით, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ის ისტორიაში ყველაზე გაყალბებული იქნება. ვის დაუჭერს მხარს ამომრჩეველი — ტრამპს, ბაიდენს თუ უმართავ ქაოსს, მათზეა დამოკიდებული — აცხადებენ პოლიტიკოსები. აშშ-ის სახელმწიფოებრიობის უდიდესი საფრთხედ პოლიტოლოგები სწორედ უმართავ ქაოსს მიიჩნევენ, რადგან სტატისტიკური მონაცემებით ქვეყანაში 100 კაცზე 120 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღია დარეგისტრირებული. ოკლახომაში მოხდა ხელჩართული ჩხუბი ტამპის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. იქ იარაღი, მართალია არ გამოუყენებიათ, მაგრამ არეულობების, ძარცვის, პერიოდში. დღეის ოფიციალური მონაცემებით უკვე 150-ზე მეტი ადამიანია დაღუპული აქციების მონაწილეთა შორის უთავბოლო ურთიერთდაპირისპირების გამოისობით. აშშ-ი ახალი სამოქალაქო ომი, რომელსაც არ გამორიცხავენ და ელოდებიან კიდეც იქაური პოლიტოლოგები, მსოფლიოსთვის კატასტროფული იქნება. იმედი ვიქონიოთ, რომ შეიარაღებულ დაპირისპირებას აიცილებენ აშშ-ის პოლიტიკოსები და არჩევნებიც მშვიდობიანად ჩატარდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ბუნდოვანება კანონში თუ ორმაგი სტანდარტი?!

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ქადაგიძეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ შალვა თადუმაძეს

2006 წელს შპს „ოდაბადეს" ხელმძღვანელი ლაშა წურწუმია და მე, ალიკო ხარჩილავა, თანხის მითვისებისა და უკანონო საფინანსო ოპერაციების განხორციელების ბრალდებით დაგვაკავეს.

შპს „ოდაბადე" ელექტროსაქონლით ვაჭრობდა. ჩვენი მომსახურებით საქართველოს რკინიგზაც სარგებლობდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ ვითომ რკინიგზის თანხის მითვისების ბრალდებით დაგვაკავა, იმავე წელს გაგვასამართლეს, რკინიგზის სასარგებლოდ კომპანიის ზარალისთვის დაგვაკისრეს 34960 ლარის გადახდა და ორივეს, მეც და ლაშა წურწუმიასაც, მოგვისაჯეს 6–6 წელი. აქედან ერთი წელი სასჯელაღსრულების სისტემაში მოხდით და 5 წელი პირობითი სასჯელი და საპროცესო შეთანხმების ჯარიმის უზრუნველსაყოფად ჩაგვარიცხინეს 30 000–30 000 ლარი.

საბოლოო ჯამში, მთლიანად გადაგვახდევინეს 94 960 ლარი, აქედან, ბიუჯეტის სასარგებლოდ, 60 000 ლარი (30 000+30 000 ლარი).

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ არაერთხელ მივმართე პროკურატურას განაჩენის გადახედვის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. პასუხი იყო ცალმხრივი: განაჩენი თქვენზე უკვე დამდგარია და არ გადაიხედებაო.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2012 წელს, მივმართე თბილისის გენერალურ პროკურატურას და მოვითხოვე საქმის ხელახალი გადახედვა.

განსაკუთრებით ძნელი იყო ამ საქმის გამოძიება, რადგან წლები იყო გასული და ყველა მტკიცებულების ხელახლა მოძიება ბევრ დროს და ენერგიას მოითხოვდა.

საქმე დაეწერა პროკურატურის ახლადშექმნილ დეპარტამენტს. დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ნადარეიშვილმა, პროკურორებმა: გურამ ოქრუაშვილმა, ბერდია სიჭინავამ და გამომძიებელმა ზვიად იზორიამ ბევრი შრომა გასწიეს საქმის სამართლიანად და ობიექტურად გამოსაძიებლად.

გენერალური პროკურატურის 2017 წლის 27 იანვრის დადგენილებით, ცნობილი ვიქენით დაზარალებულად. რის გამოც პროკურატურამ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისს ადრე გამოტანილი განაჩენის გადახედვის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და გააუქმა განაჩენი. მეც და ლაშა წურწუმიაც აბსოლუტურად უდანაშაულოდ გვცნეს ყველა წაყენებულ ბრალდებაში. ამასთან ერთად, სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ გადახდილი თანხები უკან უნდა დაგვბრუნებოდა.

ამის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მე და ლაშა წურწუმიამ სარჩელი შევიტანეთ შპს „საქართველოს რკინიგზის" წინააღმდეგ და მოვითხოვეთ ზიანის ანაზღაურება (უსაფუძვლოდ გადხდილი თანხის).

საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 19 ივნისს იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლით და მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზას" უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის (34960 ლარი) და მასზე დარიცხული პროცენტის 42 953 ლარის გადახდა დააკისრა. შპს „საქართველოს რკინიგზის" ვალდებულება შემდგომში, როგორც სააპელაციო, ისე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ძალაში დატოვა.

აღებული თანხით დავიბრუნე საკუთარი ბინა, რომელიც სწორედ ამ უსამართლო გადწყვეტილებას შეეწირა 2006 წელს.

შემდეგ სასამართლოს გარეშე, გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე, პროკურატურას მოვთხოვე 2006 წელს უსამართლოდ გამოტანილი განაჩენის გამო სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადახდილი 30 000 ლარის უკან დაბრუნება, თუმცა უშედეგოდ..

მოგვიანებით ჩვენ შევიტანეთ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში და მოვითხოვეთ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 30 000–30 000 ლარისა და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი საჩივარი და პროკურატურას დააკისრა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 30 000–30 000 ლარის დაბრუნება, რომელიც



პროკურატურამ გაასაჩივრა სააპელაციო, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში, ხოლო ჩვენი მოთხოვნა თანხაზე დარიცხული პროცენტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ამჟამად, საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო პალატამ მოცემული დავის მართებულად გადასაწყვეტად სწორად უნდა მოიძიოს მოთხოვნის განმაპირობებელი სამართლებრივი საფუძვლები. მიგვაჩნია, რომ, მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2006 წლის 2 ივნისის განაჩენით არსებობდა ფულადი ვალდებულების შესრულების საფუძველი (საპროცესო შეთანხმების ჯარიმის უზრუნველსაყოფად თანხის გადახდა), თუმცა, ეს ვალდებულება, შემდგომში გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველზე შეწყვეტილი იქნა, რის გამოც ჩვენი საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი უნდა იყოს 976-ე მუხლი.

იმის გარდა, რომ პირადად მე, კანონის საფუძველზე, რკინიგზიდან ჩემი კუთვნილი თანხა პროცენტებით დამიბრუნდა და პირადად ჩემს საქმეზე კანონის ძალით იქნა დაშვებული პრეცედენტი, მე, ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს წარვუდგინე ნაწილობრივ გამართლებული სხვა პირის მიერ მოთხოვნილი ჯარიმის თანხის დაბრუნების გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილი იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, სადაც მითითებულია, რომ ბიუჯეტში გადახდილი თანხა უნდა დაბრუნდეს 976-ე მუხლის საფუძველზე, როგორც უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, დავის სამართლებრივად მოწესრიგების მიზნით, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 976–991 მუხლებით და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, თავდაპირველად, არსებობდა თანხის გადახდის ვალდებულების საფუძველი, მაგრამ ეს ვალდებულება შემდგომ შეწყვეტილი იქნაო. მით უმეტეს, მე და ლაშა წურწუმია, რომლის ბიზნესპარტნიორიც გახლდით, სრულად გავმართლდით ყველა წაყენებულ ბრალდებაში.

ჩვენს საქმეზე, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ თანხის თანხის დაბრუნებას საფუძვლად დაუდო 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი და არ ჩათვალა, რომ თანხა გადახდილი იყო უსაფუძვლოდ, რადგან ჩვენს მიმართ გამოტანილი არის გამამართლებელი განაჩენი.

თუ ეს გადაწყვეტილება ძალაში დარჩება, მაშინ გამოდის, რომ ერთი და იგივე საქმეზე შპს „საქართველოს რკინიგზისთვის" გადახდილი თანხა ბრუნდება პროცენტით, ხოლო იმავე საქმეზე პროკურატურიდან თანხის დაბრუნება ხდება პროცენტის გარეშე.

შპს „საქართველოს რკინიგზამ" თანხა დააბრუნოს პროცენტით, პროკურატურამ კი არა?

საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების ჯარიმის უზრუნველსაყოფად გადახდილი თანხა მოსარჩელეს რა სამართლებრივი საფუძვლით უნდა დაუბრუნდეს — 976-ე მუხლით, როგორც ეს მოხდა ამავე საქმეზე შპს „საქრკინიგზის" შემთხვევაში, თუ დელიქტით — 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელითაც იხელმძღვანელა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, რომელიც შემდომში სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ძალაში დატოვა.

იმედია, საკასაციო პალატა იმოქმედებს კანონის შესაბამისად და მიიღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას.

ალიკო ხარჩილავა, ლაშა წურწუმია

რედაქციისაგან: ალიკო ხარჩილავას და ლაშა წუწუმიას ამ წერილის გამოქვეყნება იმიტომ ვცანით საჭიროდ, რომ მსგავსი პრობლემა საქართველოს ბევრ მოქალაქეს დახვედრია წინაღობად სამართლის მიღწევისა და აღსრულების გზაზე.

ადამიანებს, რომლებიც სასამართლოს მიერ გამართლდნენ, ზოგჯერ რამდენიმე წელი სჭირდებათ მათი კუთვნილი თანხების უკან დასაბრუნებლად. მიზეზი ამისა კი ზოგჯერ კანონის გაუმართაობაა, ზოგჯერ კი არსებული კანონის სხვადასხვა ინტერპრეტაციით წაკითხვის შესაძლებლობა, რაც, ცხადია, სერიოზული ხარვეზია.

ა. ხარჩილავა და ლ. წურწუმია სრულიად მართებულად სვამენ კითხვას: ერთი და იგივე საქმეზე რატომ იქნა მიღებული ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება?

თითქმის სამი წელიწადია ა. ხარჩილავა და ლ.წურწუმია მათი კუთვნილი თანხის დაბრუნებას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ.

როგორც წერილშია ნათქვამი, ამჟამად საჩივარი გადაგზავნილია უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სამართალი, რომლის მიღწევასაც თხუთმეტწლიანი ეკლიანი გზის გავლა დასჭირდა, ბოლოს და ბოლოს აღსრულდება.

„საერთო გაზეთი"

# ვოვა, რამზანი და ჯულიეტოვნა

## პოლიტიკური ნოველა



მოსკოვი, კრემლი. 2020 წლის გაზაფხული. ვლადიმერ პუტინის კაბინეტი.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა თავდაცვის მინისტრი შოიგუ კარამდე მიაცილა და ხელის ჩამორთმევამდე კიდევ ერთხელ ჩაეკითხა:

– სერგეი კუჟურეტოვიჩ, ესე იგი, დარწმუნებული ხართ, რომ ამ ზაფხულს ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში ზანგები აბუნტდებიან, ხომ?

– ჰმ... აბუნტდებიან და მერე როგორ, ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, თეთრებს სულ ფეხებს დაუკოცნიან.

– ეგრე, სერგეი კუჟურეტოვიჩ, ეგრე, მაგათ ჭკუა თუ არ ვასწავლეთ, ძალიან გაბლატავდნენ, ჯერ ზანგების ფეხები ვალოკინოთ, მერე ინდიელებიც გამოვუშვათ რეზერვაციებიდან!

– ეგრეც ვიზამთ... მახსოვს, როგორ აწვალებდნენ ამერიკის



კონტინენტზე ჩასული ყაჩაღები ადგილობრივ მოსახლეობას!

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა კარი ფრთხილად მიხურა, ხელი ჩაიქნია და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. ერთი ფიქრი არ აძლევს ბოლო დღეებში მოსვენებას, სულსა და გულს უღრღნის შიგნიდან, ცხოვრებას უშხამავს. როცა წუპაკი გაბუნია, ვიღაც რწყილი ჟურნალისტი საქართველოდან, გამოეთრა და დედა აგინა.

ჰოდა, რათა? ვინ არი, ვინ გდია, ამდენს რომ ბედავს? არა, ამას არ აპატიებს, ვერ აპატიებს, დედის საფლავის წაბილწვა, თუნდაც სიტყვით, გაუგონარი ამბავია.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი წამოხტა, კარი სანახავროდ გამოაღო და მდივან-მემანქანეს გასძახა:

– ლუდა ტიმოფეევნა, რამზან ახმატოვიჩი მოვიდა?

– ეგ ვინღაა, ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ?

– ჩეჩნეთის ვითომ პრეზიდენტი, გოგო, რა გჭირს?!

– ააა, დარეკა, ცოტა შემაგვიანდება, ტვერსკაიას ქუჩაზე ორ პედერასტს მოვკლავ და ეგრევე მანდ ვარო.

– ჰოოო... როგორც კი მოვა, ეგრევე შემოვიდეს.

ისევ უსიამო ფიქრებმა წარიტაცეს ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი, განა სხვა საფიქრალ-სადარდებელი არ გააჩნია, ვიღაც წუპაკზე რომ არ იფიქროს? ჰმ... გააჩნია, მაგრამ თუ ახლა აპატია, უფრო „გაბლიადდება“. რამზან ახმატოვიჩს დაელაპარაკება, მაგან იცის ქართველების წამალი, არ მიასიკვდილებს, უბრალოდ შეაშინებს, ჩააფსმევინებს და ეგ იქნება. ისე, მიხაილ ნიკალაევიჩსაც რომ დაელაპარაკოს უკრაინაში, არ იქნება ურიგო, მაგანაც იცის კაი ხრიკები. ბოლო-ბოლო, ვალშია, მშვენიერ თანამდებობაზე დაანიშნინა ვოლოდიმერ ალექსანდროვიჩს. მიხაილ ნიკალაევიჩს შეუძლია, ტიმურ ალასანიას გადაურეკოს, ეგ გამოცდილი ტიპია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ თემით საქართველოში სიტუაციის გაცხელებაც იქნება მოსალოდნელი.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს კასპი ამოუტივტივდა დაზაფრულ გონებაში – ბავშვობა, დედა, რომელიც მეორედ გათხოვდა. ბუნდოვნად ახსოვს, როგორ წაიყვანა დედამ საქართველოში, მამინაცვალმა თავიდანვე აითვალწუნა და ეგრევე უპატრონო ბავშვთა სახლში მიაბარა. კიდევ კარგი, როგორც კი წამოიზარდა, ბებია-ბაბუასთან გამოუშვეს რუსეთში. რომ არა სამშობლოში დაბრუნება, ვინ იცის, ვინ იქნებოდა... ალბათ ფერმერობას მიჰყოფდა ხელსა, ვაშლის ბაღები ექნებოდა, შეიძლება ცემენტის ქარხანაშიც ემუშავა. ასეა თუ ისე, არ სიამოვნებს წარსულის გახსენება და არც დედა აინტერესებს, რომელმაც მთელი ბავშვობა ჩაუშხამა.

– ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, რამზან შახმატოვიჩი მოვიდა, – გამოსძახა მოსაცდელი ოთახიდან მდივან-მემანქანემ.

– შახმატოვიჩი კი არა, ახმატოვიჩი, რა გჭირს, ლუდა?! – გასძახა ვლადიმიროვიჩმა.

კადიროვი საკუთარ ჩექმებს დააკვირდა, ნამეტნავად გამტვერიანებულიყო, ვეღარც კი მოასწრო შავი საპოხის გადასმა-გაპრიალება. პიჯაკზე ზედა ბოლო ღილიც ასწყვეტოდა, მეორე პედერასტის დახრჩობა გაუჭირდა ცოტაოდენ, ის ოხერი, მკვდარი რომ ეგონა, სწორედ მაშინ სწვდა ყელში.

– სალამ ალეიქუმ, დიდო სარდალო! – დასჭყივლა კადიროვმა სავარძელში მოკალათებულ ვლადიმიროვიჩს.

– რა არი, ბიჭო, რას ჰგავხარ, ხელ-პირი მაინც დაგებანა... თუმცა, ჰო, რა ქენი, დახოცე პედერასტები?

– არა ბიჭო და მოსკოვს დავეკითხებოდი!

– რააა?! – სახეზე შეეყინა ღიმილი ვლადიმიროვიჩს.

– უკაცრავად, სხვანაირად მინდოდა მეთქვა... არა ბიჭო და ვაშინგტონს დავეკითხებოდი!

– აი, ეს მესმის! – წამოდგა სავარძლიდან ვლადიმიროვიჩი და ნახევრად გამოღებულ ფანჯარასთან მივიდა. რატომღაც იოსებ ბესარიონოვიჩი გაახსენდა. უცნაურია ცხოვრება, იყო დრო, ზუსტად ამ ადგილას სცემდა ბოლთას და ჩიბუხსაც აბოლებდა ეს ბუმბერაზი ადამიანი. დიახ, აქ, ამ ფანჯარასთან წყვეტდა მსოფლიოს ბედს. ბოლო დროს კიდევ ერთი ხვაშიადი დაიჭირა ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა საკუთარ თავში – უნდა, რომ სტალინი იყოს... უნდა, რომ სტალინივით ეშინოდეთ მისი...

– ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, რა ხდება, მშვიდობაა? – შეახსენა თავი რამზანმა.

ამას წინებზე ერთმა ქართველმა წუპაკმა ჟურნალისტმა დედა რომ მაგინა ტელევიზორში, გახსოვს, ხომ?

– რა თქმა უნდა, მახსოვს, მაშინ დაგირეკეთ და მითხარით, დაიკიდეო... არადა, არ იყო დასაკიდებელი. მე მაინც შევიტანე მაგისი გვარ-სახელი შავ სიაში... ღაბუნია ჯორჯ ჯულიეტოვნა.

– მოიცადე... თუ ეგ ტიპი ჯორჯია, ანუ მამრობითი სქესისაა, მაშინ ჯულიეტოვნა რანაირადაა?

– ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, ეგ კავკასიური საიდუმლოა... სამწუხაროდ, ბოლო დროს ასეც ხდება, ადამიანს აქვს კაცის ფორმა, მაგრამ სინამდვილეში ქალია.

– ანუ ფორმა კაცისა აქვს და ქცევა ქალისა, ხომ?

– სწორედაც რომ ეგრეა.

– და... ჯულიეტა მისი დედაა?

– დიახ, ლევიტანის დროის დიქტორი გახლავთ საქართველოში... როგორც ჩანს, ამ ტიპის გამოხტომამ შეგახსენათ თავი, ან იქნებ კიდევ მიჰქარა რამე?

– არა... როგორ გითხრა, ძველი ბოღმა არ ამომდის გულიდან.

– აჰ, გასაგებია, ჩემო ყაენო! – გადაატრიალა თვალები ახმატოვიჩმა, „რუმკაში“ არაყი დაისხა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

– იცოდე, ყველაფერი ჩვენში უნდა დარჩეს, – წარმოთქვა ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა ჩურჩულით.

– რა თქმა უნდა, რაზეა ბაზარი, ვლადიმიროვიჩ? ისა და... მოვკლათ თუ გავაუპატიუროთ?

– ჩემი აზრით, მეორე ვერსია უკეთესია, მაგრამ სინამდვილეში სიტუააცია ისე უნდა დაიხატოს, თითქოს ვიღაცას ერთიც უნდოდა და მეორეც.

– მე მყავს ხალხი, მათ ერთიც შეუძლიათ და მეორეც... ესე იგი, დავაჩოქოთ და მოვტ...ნათ, ხომ?

– დიახ, ასე აჯობებს... იყოს, იცოცხლოს, მაგ ჩემის გადანგრეულმა.

– ვლადიმიროვიჩ, ერთი შეკითხვა მაქვს, თუ შეიძლება.

– მითხარი, არ მოგერიდოს.

– ეს არაყი სადაურია?

– ჰმ... ანატოლი ილიჩმა გამომიგზავნა ამას წინებზე, ბიბილოვმა, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა. იცის მაგ კაცმა პატივისცემა.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი ისევ მივიდა ნახევრად გამოღებულ ფანჯარასთან, საიდანაც კარგად მოჩანდა კრემლის მთავარი გუმბათი. არა, ცოტა გვიან დაიბადა, თორემ სტალინის ეპოქაში აუცილებლად იტყოდა თავის სიტყვას. ან იქნებ ისეთ რამეს ჩაიდენდა, რომ დახვრეტდნენ? იქნებ გადაასახლებდნენ? ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს ტანში გააჟრჟოლა, რაც არი, ეს არი, მაინც მშვენიერია, სტალინის დროს ალბათ ვერ იქნებოდა პირველი პირი, ახლა კი არის. ჰმ, არის და მერე როგორ? შეუძლია, წითელ ღილაკზე თითი დააჭიროს და რამდენიმე წამში მთელი მსოფლიო გადაბუგოს. აი, სტალინს კი არ ჰქონდა ასეთი წითელი ღილაკი.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# შავი დედოფლების დრო

## როგორ იბრძოდნენ აფრიკელი ქრისტიანები ევროპელი დამპყრობლების წინააღმდეგ



აფრიკის კოლონიზაციის დროს ევროპელები ხშირად უპირისპირებდნენ ხოლმე აფრიკულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც, თითქოსდა წარმართული წესებით ცხოვრობდნენ. სინამდვილეში, როგორც დამპყრობლებს სჩვევიათ, სიმართლეს არ ამბობდნენ. ანგოლის ისტორიაში, მაგალითად, იყო ხანგრძლივი პერიოდი, როცა პორტუგალიელებს ერთმანეთის მიყოლებით წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანი დედოფლები და დახმარებას სხვა შავკანიან ქრისტიანებს სთხოვნენ. მაგრამ უშედეგოდ.

**დედოფალი ანა, რომელიც ევროპელებსაც ახსოვთ.** 1744 წელს მოხდა მეთვრამეტე საუკუნის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ოპერაცია. პორტუგალიის ჯარები მატამბას სამეფოში შეიჭრნენ. მატამბას ჯარები მედგრად იბრძოდნენ, პორტუგალიელებს დიდი დანაკარგი ჰქონდათ, მაგრამ მათი შეჩერება მხოლოდ დედაქალაქის მისადგომებთან გახდა შესაძლებელი. ამ ომს წინ ხანგრძლივი ისტორია უძღვოდა. ბევრი მის ათვლას დედოფალ ანა I-იდან იწყებს, რომელსაც ნზინგაცსაც უწოდებდნენ. ასე ერქვა ანგოლის ისტორიაში ცნობილ პირველ დედოფალს, მეფე კილომბოს ასულს. ანას ოჯახმა ქრისტიანობა მიიღო და ყველა მომდევნო დედოფალი და მეფე მკაცრად მისდევდა ამ რელიგიას. ის, რომ თითქოს ადგილობრივი მეფეები ევროპელებს იმის გამო უწევდნენ წინააღმდეგობას, რომ ქრისტიანობის მიღება არ უნდოდათ, მითია. ახალი რწმენა სრულიად აწყობდა ბევრ აფრიკელ მონარქს — მაგალითად, ქრისტიანობა მიიღო ანას მეზობელი ქვეყნის, კონგოს სამეფო ოჯახმაც.

თავად ანა არ ფიქრობდა ტახტზე, ვიდრე ძმამ შვილი არ მოუწამლა, რათა ტახტის ზედმეტი კანდიდატები მოეშორებინა. პრინცესას მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მან მოწამლა თავისი ძმა — მეფე. ამის შემდეგ ტახტზე პრეტენდენტი აღარავინ დარჩა. ასე რომ, მისი სამეფოს პატრიარქალურმა მცხოვრებლებმა საკმაოდ მშვიდად მიიღეს ქალის გამეფება. მით უმეტეს, რომ იმ მისიონერებისგან, ვინც მათთან ქრისტიანობა შეიტანეს, სავიის დეფოფლის შესახებ გაიგეს და თუ სადმე ოდესღაც არსებობდა შავი დედოფალი, რატომ არ შეიძლებოდა, რომ მათ საკუთარი ჰყოლოდათ?

პორტუგალიელები ერთმანეთის მიყოლებით იპყრობდნენ მიწებს. მეფე კილომბო გარდაიცვალა, მისი ვაჟების და ანას წინაშე დადგა ამოცანა — შეენარჩუნებინა წინაპრების მიწები. როდესაც დედოფალი გახდა, მან შემოიერთა სამეფო მატამბას მიწები, შემდეგ ჰოლანდიელებს და თავის მეზობელს, კონგოს შავკანიან ქრისტიან მეფეს ალვარო VI-ს მოელაპარაკა, რომლის (კონგოს) ოფიციალური რელიგიაც ქრისტიანობა იყო. ასე რომ 1641 წელს პორტუგალიელების წინააღმდეგ იბრძოდა სამი ქრისტიანი მეფის ჯარი და მათ შორის ორი შავკანიანი იყო.

ნდონგოს სანაპირო მიწების დაბრუნება იოლი როდი იყო. კონგოელებმა და ჰოლანდიელებმა მიატოვეს დედოფალი ანა და ის მარტო განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. განრისხებულმა რამდენიმე ხნით უარყო კიდეც ქრისტიანობა. წლიდან წლამდე მას ავიწროებდნენ, ვიდრე 1648 წელს განაწამებმა პორტუგალიელებმა მძევლად ანას და ბარბარა არ ჩაიგდეს ხელთ და არ აიძულეს დედოფალი, რომ ოფიციალურად გამხდარიყო პორტუგალიის მეფის ვასალი დის სიცოცხლის სანაცვლოდ.

ანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც მას დაუბრუნდებოდა ნდონგოს ის ნაწილი, რომელსაც გამეფების დროისთვის ფლობდა. ამის შემდეგ ის ქვეყანას ოთხმოცდა ორი წლის ასაკამდე მართავდა, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელებმა რამდენჯერმე მიუგზავნეს მკვლელები. ჯარების მუდმივმა შემოტევებმა და გლეხების მონებად წაყვანამ დაანგრია სოფლის მეურნეობა და ანამ მხოლოდ მაშინ შეძლო ქვეყნის გადარჩენა, როცა ქვეყანა ცენტრალურ აფრიკაში სავაჭრო კავშირების უზრუნველყოფაზე გადაიყვანა. ნდონგო და მატამბა საქარავნო გზების ყველაზე უსაფრთხო გზაჯვარედინად იქცა. ანგოლაში ანა I-ს დღემდე პატივს სცემენ, მისგან იღებს სათავეს გუტერაშების დინასტია, რომელიც ქვეყანას XIX ს-ის შუა წლებამდე მართავდა.

**დედოფლების დინასტია.** ვაჟის სიკვდილის შემდეგ ანას შვილი აღარ გაუჩენია. მისი გული, როგორც დედისა, მკვდარი იყო. ანას მემკვიდრე მისი და, ბარბარა გახდა, რომელიც ქვეყანას სამი წელი მართავდა, ვიდრე გაურკვეველ ვითარებაში არ გარდაიცვალა. მომდევნო დედოფალი ნდონგოსა და მატამბას ტახტზე რამდენიმე მეფის შემდეგ, მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ ავიდა. ეს იყო ვერონიკა I, ანას ძმის შვილი, დაბადებიდან თუ არა, ადრეული ბავშვობიდან ქრისტიანი. მის შემდეგ მეფობდნენ დედოფლები: ვერონიკა II, ანა II და ანა III (რა თქმა უნდა, მეფეებთან მონაცვლეობით). ყველა ეს დედოფალი ქრისტიანი იყო. ვერონიკა II, რომელიც ძალიან ცოტა ხანს მეფობდა, ტახტიდან ჩამოაგდო და მოკლა საკუთარმა დამ, ანა III-მ.

მოგვიანებით თვითონ ანაც ჩამოაგდეს და მისი ქალიშვილები, რომლებმაც ახალი მეფის (თავიანთი კუზენის) ქვეშევრდომობა არ ისურვეს, პროვინციაში გაემგზავრნენ და ის ერთ-ერთი დის მმართველობის ქვეშ ახალ სახელმწიფო ზინგად გამოაცხადეს. მეორე ქალიშვილი, მურილი, ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადეს. გოგონების ქრისტიანული სახელები არ შემორჩენილა, თუმცა ისინი ნამდვილად მონათლულები იყვნენ. რადგან მთელმა პროვინციამ დედოფალს და პრინცესას მხარი დაუჭირა, მეფე იძულებული გახდა, ეღიარებინა ახალი სამეფო.

ვერონიკა დედოფალი პორტუგალიელებთან ბრძოლის შედეგად არ გამხდარა. ნდონგოსა და მატამბას მოსახლეობამ ბრძოლა მეფესთან ერთად დაიწყო და დედოფალთან ერთად დაასრულა.

1744 წელს, ვერონიკას შვილიშვილის, ანა II-ის მეფობის დროს მოხდა საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო ოპერაცია ევროპული სამეფოს მონაწილეობით. ანა იძულებული გახდა თავი პორტუგალიის ვასალად ეცნო.



**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

## ვლადიმერ ჭანტურიძე



### აპოკალიფსი

ნარკომანიას თუ მომინდა შევეხო ლექსად
ეგებ შეერგოს ზოგიერთებს მკურნალის ნემსად.
ვის ტოვებ ქვეყნად, შენს მაგიერ ხმალს ვინ აიღებს!
შენ გასაღებ სისხლს, ლიბერასტი რატომ გაიღებს!

რას შვრებით — სიმწრით თმას იგლეჯენ თქვენი დედანი
— გაგზარდე ბიჭად, რატომ უნდა გახდე ცვედანი!
გახსოვთ? გათხოვდა ჩოხოსანი ბიჭი ქართველი
გაქრა უკვალოდ, ვინ აუნთოს მის სულს სანთელი.

როცა პატრიარქს შეურაცხყოფს ვიღაც ჩათლახი,
შეუბრალებლად წელზე უნდა დაჰკრა მათრახი!
გახარიაში მოელანდა ვისაც ბერია,
დასტურ ვაცხადებ, ის სამშობლოს ჩუმი მტერია!

დუმს პარლამენტი, დუმს მთავრობა, დუმს ეკლესია,
სატანის მოდგმა ჩემს სამშობლოს შემოესია!

**საერთო გაზეთი**
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001